# საქართველოს რესპუბლიკა

www.sakresp.ge







იმისთანა წმინდა საქმეში, როგორიც ბეჭდვითი სიტყვაა, ტყუილებით და ჭორებით ბურთის გატანა ყველა უკადრისობაზე უსაძაგლესია.


ხუთშაბათი, 20 ოქტომბერი. 2016 წ. №195 (8087), გამოცემის 98-ე წელი | ელ.ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@top.ge | ფასი 50 თეთრი.


# კონსტიტუციური უმრავლესობა სწრაფი განვითარების უტყუარი გზაა!

„ქართულ ოცნებას“, კონსტიტუციური უმრავლესობით გაძლიერებულს, ბევრად მეტი საშუალება ექნება, რომ ხალხისთვის მიცემულ წინასაარჩევნო დაპირებებს შეასხას ხორცი! ეს კი, ცხადია, ხელს არ აძლევს „ოცნების“ დაუძინებელ ავის მნდომელ მავნე და დამნაშავე ნაციონალებს, რომელთაც მოკავშირედ ამოიყენეს პოლიტიკურად ხელმოცარული ლეიბორისტები და გრანტიჭამია არასამთავრობოები.

ყოველმა კეთილგონიერმა ამომრჩეველმა კარგად იცის, რომ არჩევნებში დამარცხებული, ანტისახელმწიფოებრივად და ანტიეროვნულად მოფიქრალი ოპოზიცია ამაოდ აშინებს და აფრთხობს ქვეყნის მოსახლეობას ავტორიტარიზმითა და დიქტატურით, რაც თითქოს კონსტიტუციური უმრავლესობის შემთხვევაში „ოცნების“ მიერ განხორციელებულ პოლიტიკას შედეგად მოჰყვება!

ეს აშკარად მოკლეფეხება პოლიტიკური სპეკულაციაა, რომელსაც უკვე მწარე გამოცდილებით ჭკუანასწავლი ჩვენი ამომრჩეველი არამც და არამც აღარ აჰყვება!



გამოწვევა

## ბარაკ ობამა:

# რუსეთი შეიჭრა საქართველოს ტერიტორიაზე და იქ გაყინული კონფლიქტი შექმნა

აშშ-ის პრეზიდენტის განცხადებით, რუსეთმა საქართველოში გაყინული კონფლიქტი შექმნა. ბარაკ ობამას შეფასებით, აშშ-სთვის რუსეთის აგრესიულობა მსოფლიოს კონკრეტულ რეგიონებში გამოწვევა გახდა. მისივე თქმით, რუსეთი უკრაინაში ისეთივე გზით მოქმედებს, როგორც მოქმედებდა საქართველოში:

**„როდესაც პრეზიდენტი გავხდი, რუსეთი, წინა ადმინისტრაციის დროს, უკვე იყო შეჭრილი საქართველოს ტერიტორიაზე და იქ გაყინული კონფლიქტი ჰქონდა შექმნილი. მაშინ რუსეთში ახალი პრეზიდენტი იყო და შევეცადეთ, ამერიკულ-რუსული ურთიერთობებისთვის უფრო კონსტრუქციული გზა გამოგვენახა. ვფიქრობ, რომ რუსეთს საკმარისი პატივისცემა დავანახვეთ, უზარმაზარ სხვაობებსა და განსხვავებულ ფასეულობებს ვაღიარებდით და ამასთანავე, ვცდილობდით ერთობლივი თანამშრომლობისთვის გზების გამონახვას“,** — განაცხადა ობამამ იტალიის პრემიერ-მინისტრ მატეო რენცისთან გამართულ ერთობლივ პრესკონფერენციაზე.

## ვადიმ ანასტასიადი:

# უკულტურო ადამიანს ვერც პოლიტიკური კულტურა ექნება!

### გამარჯვებულები და დამარცხებულები: ზოგიერთი გაკვეთილი და დასკვნა

4

## ეკა ბესელია:

# თუ ძალაუფლების ხიბლში ჩაძირვას დავიწყებთ, მომავალ წელს, თვითმმართველობის არჩევნებია, შემდეგ საპრეზიდენტო...

3

◉ ამუნია მოდის! ამუნია მოდის!

# მოძმეთა სისხლი ცას შესჩუხჩუხებს და სამართალს ითხოვს!

**ნიკა გვარამიას ბუზი დააჯდა! არა, სიკვდილის ბუზი კი არა, მძორის, უწმინდურობის ბუზი.**

ჰოდა, გაილანდება თუ არა ანჩხლი ნიკა ტელევიზიაში და პირს გააღებს, უმალ მყრალი სუნი ეკრანს მიღმიდან ეკრანს გამოღმა გვაწყებინებს გულის რევას. აი, სამშაბათსაც, გიორგი გაბუნიას ანტიქართულ „არჩევანში“...

მესმის, ამა თუ იმ პოლიტიკოსს შეიძლება, არ უყვარდეს თავისი მოწინააღმდეგე, შეიძლება, მისთვის კვანტის დადებას არ ერიდებოდეს ან უფრო მეტი, ინსინუაციებსაც კი კადრულობდეს, მაგრამ ასე მჩქეფარედ, მოჩუხჩუხედ მისთვის სამკვდრო-სასიცოცხლო სიძულვილის, ზიზღის გამოცხადება, სახალხოდ შხამის და სამსალის გალესვა, ყურში მარილის ჩაყრის ცდა?

ის, რასაც გვარამია, ნაცების ჯიბის ტელევიზიის გენდირექტორი კადრულობს და ლაპარაკობს, უბრალოდ არ არის პოლიტიკის ნაწილი, ქუჩური გინება და კრიმინალური სამართებლის პირზე სიარულია. და ეს მხოლოდ დასაწყისია, დასასრული კი პირდაპირ ეკრანზე ქვების სროლა იქნება (თუმცა, ნიკა აქ პირველი ვერ გახდება, ქვებს უკვე რა ხანია ისვრის ნიკას საყვარელი შარლატანი პოლიტიკოსი შალიკო ნათელაშვილი!).

პირდაპირ საარაკო სანახავია, ეს ნაცები რა ოპერატიულად დირიჟორობენ თავიანთ მიერვე გახურებული საზოგადოების განწყობას, ანუ, უფრო სწორად, რა მარჯვედ აწვდის მას „სამღელვარო“ თემებს.




ახლა ეს არის „ხოდში“: „ოცნებამ“ რომ არჩევნებში გამარჯვებით კონსტიტუციური უმრავლესობა მოიპოვოს, დავიღუპებითო. ეს ნიშნავს, რომ ქვეყანა აირევა: „ოცნება“ პარლამენტს თბილისში გადმოიტანს, პრეზიდენტს ფრთებს შეუკვეცავს და პარლამენტის ასარჩევს გახდის, კანონებში ნებისმიერ ვოლუნტარისტულ ცვლილებას შეიტანსოოო!!!

ერთი სიტყვით, ამუნია მოდის და აბა თქვენ იცით, ხალხო, რა ფხას გამოიჩენთ, რა წინააღმდეგობას გაუწევთ კარზე მომდგარ მტერსო.

ნიკა გვარამია, გიგა ბოკერია, ელენე ხოშტარია, ნინო გოგუაძე... ვერც გაიგებ ვინ ვინ არის, ვინ ნაცია და ვინ გუშინდელი მემარცხენე ჰუმანისტ-ჟონგლიორი...

ათიოდ დღეში მეორე ტური გაიმართება. 30 ოქტომბრისთვის მონდომებით ემზადებიან ნაცები და დღეს მის გარშემო მჭიდროდ დარაზმული პარტიები, რომლებიც გუშინ დამოუკიდებლად იბრძოდნენ პირველ ტურში და სამარცხვინოდ ჩაფლავდნენ. დამარცხების შემდეგ ამ წიკო-მაკო პარტიებმა ცრემლები შეიმშრალეს, ხელი ხელს მისცეს და გამარჯვებულთან შესაბმელად ბრჭყალები და კბილები აილესეს.

მოხდა ტოტალური მეტამორფოზა: თუ პირველ ტურში „ოცნების“ წინააღმდეგ ხმის მიცემა სულაც არ ნიშნავდა ამ ხმების ნაცებისთვის შემატებას, ახლა იგივე ხალხი ამომრჩევლებს მოუწოდებს, ხმა აუცილებლად მისცენ ნაცების სასარგებლოდ.

ნიკა გვარამია და „რუსთავი-2“ (გიგა ბოკერია, სერგო რატიანი და სხვები თავისთავად) ქართველ ხალხს მოუწოდებენ „ოცნების“ წინააღმდეგ საბრძოლველად, თითქოს ქართველ ხალხს დაავიწყდა ნაცების მიუტევებელი დანაშაულობანი და არაადამიანური საშინელებანი.

მოძმეთა სისხლი ცას შესჩუხჩუხებს და სამართალს ითხოვს!..

**სანდრო ალექსიძე**

მეტისმეტი რეტისრეტი!





# გავთავისუფლდეთო, მეტი თავისუფლებაო!

**ჯერ ხომ ჩვენ თვითონ ქართველები ვართ რთული განტოლებასავით ძნელად „ამოსახსნელი" ხალხი, რაც შეეხება ჩვენს ეგრეთ წოდებულ პოლიტიკოსებს, სახელმწიფოებრივი აზროვნების თვალსაზრისით, ნამდვილად „ამოუხსნელი" განტოლებები არიან.**

სიტყვას არ გავაჭიაყელავებ, მოკლედ ვიტყვი. მიდი, აბა, თუ ბიჭი ხარ, გაიგე, რისი თქმა უნდათ ჩვენს პარლამენტის თავმჯდომარეს დავით უსუფაშვილს ან გაგირჩებულ ზურაბ ჯაფარიძეს.

**„გავთავისუფლდეთო!"** ასე აწერია ყოფილი თავდაცვის მინისტრის მეუღლის ათასობით პორტრეტს, ხოლო პოლიტიკის ბანი-ბან ამაოდ მავალი ბურჭულაძისგან განდგომილ გირჩელს თავისი პორტრეტისთვის **„მეტი თავისუფლებაო"!** მიუბეჭდავს.

პირდაპირ საკვირველია! ბატონო რესპუბლიკელო დავით, რა გათავისუფლებაზე გველაპარაკები, როცა უკვე გათავისუფლებული ბრძანდებით ყოველგვარი სახელმწიფოებრივი მოვალეობისგან? ანდა თქვენ, გირჩელო ბატონო ზურაბ, რა მეტი თავისუფლება მოგნდომებიათ, როცა აღარცრა ვალდებულება აღარ გაკისრიათ და ნაადრევად ჩამოვარდნილი მწვანე გირჩივით ჩანხართ ქართულ პოლიტიკურ ნაძვნარში.

ისე, ბარემ აქვე უნდა ითქვას, განა ყოველი არჩევნებისწინა დღეებში საჭირო კია მთელ საქართველოში სადეპუტატოდ ჩოხამორგებულთა ამდენი პორტრეტის გამოფენა?!

მთელი ქვეყანა ერთ უზარმაზარ პორტრეტების გალერეას არის დამსგავსებული, ნაირ-ნაირ წარწერებს ხომ ნუღა იტყვით! ყოფილი პარლამენტის თავმჯდომარე და გირჩელი თუ გათავისუფლებას და მეტ თავისუფლებას ითხოვენ, ალბათ, ერთი დიდი ტომი არ ეყოფა იმ ტექსტებს, რაც სხვა დეპუტატობის კანდიდატების პორტრეტებს „ამშვენებს". თანაც რაღას არ ჰპირდებიან ქვეყანას, ხალხს! იმის თუნდაც მეასედიც რომ შესრულდეს, ეს ჩვენი ღვთისმშობლის წილი ქვეყანა მართლა მიწიერ სამოთხეს დაემგვანება. აღარც ხვნა დაგვჭირდება, აღარც თესვა, ყველაფერი ციურ მანანასავით თავზე დაგვეყრება და მეტისმეტ ფუფუნებაში ჩავიხრჩობით, რაც მთლად კარგი არა მგონია!

ისე, ბატონი უსუფაშვილი ერთ რამეში მართალია, თუ, რასაკვირველია, ჩემსავით ისიც იმას ფიქრობს, რომ ჩვენი ქალაქები (მეტადრე თბილისი!) რაც შეიძლება მალე უნდა გაიწმინდოს, ანუ განთავისუფლდეს ამ არაწმინდანთა პორტრეტებისგან!

და კიდევ ერთი: თვითონ ამ პორტრეტების ავტორებს (განსაკუთრებით, ვინც პარლამენტში ვერ გავიდა!) დაევალოთ თავიანთი პორტრეტების ჩამოხსნა, და ახალი ხარჯები რომ აღარ გასწიონ, 2020 წლის არჩევნებისთვის საგულდაგულოდ შენახვა.

თორემ ნამდვილად უხერხულია, წაგვლეკა ამ თავმოსაწონებელი და ამომრჩევლის თვალის მოსატყუებელი პორტრეტების წარღვნამ!

**გურამ წიკლაური.**

**P. S. როგორც ჩანს, ზოგ-ზოგთ უკვე თანდათან უსრულდებათ თავ-თავიანთი ოცნებები. რესპუბლიკელების ბელადმა დავით უსუფაშვილმა უკვე გამოიშვა თავი პარლამენტის თავმჯდომარის მძიმე უღლიდან, ანუ უმძიმესი ტვირთი მოიხსნა, განთავისუფლდა! გირჩელი ზურაბ ჯაფარიძეც მეტისმეტად იყო დაზურგული — ჯერ ნაციონალების მოლაშქრე იყო, მერე ბუნების მტერ-მოყვარე ხაჩიძესთან ერთად „გირჩი" შექმნა, პავლე კუბლაშვილთან და გიორგი მელაძესთან ერთად პაატა ბურჭულაძის „სახელმწიფო — ხალხს" მიეკედლა. მართალია, მეტი თავისუფლება უნდოდა და აკი მიიღო კიდეც. პოლიტიკური თავისუფლების დროშები ააფრიალეს ირაკლი ალასანიამ და ახალჯვარდაწერილმა, ანუ პრეზიდენტის სიმბოლურმა სიძემ ალექსი პეტრიაშვილმა.**

**ასე რომ, ახლა უკვე თავისუფლების მოლოდინში არიან მიშიკოს სუროგატი დავით ბაქრაძე და ობამას ინგლისურის მასწავლებელი, მსოფლიოში სახელგავარდნილი ლეიბორისტი განიუორკებული დუშელი ნათელაშვილი შალიკო.**

**აი, ხედავთ, როგორ ამუშავდა თავისუფლება?!**

**ისღა დაგვრჩენია, მთელი ხმით ვიღრიალოთ: თავისუფლება მუქთახორა ცხოვრებისთვის ფუჭი ბრძოლისგან ქანცგაწყვეტილ ქართველ ოპოზიციურ პოლიტიკოსებს!**

**გ. წ.**

# პრეზიდენტი პრემიერის ინიციატივას მიესალმება

საქართველოს პრეზიდენტი პრემიერის ინიციატივას საქართველოს კონსტიტუციაში ცვლილებების შეტანის მიზნით ჯგუფის შექმნის შესახებ, მიესალმება. პრეზიდენტის ადმინისტრაციის ხელმძღვანელის გიორგი აბაშიშვილის განცხადებით, აღნიშნული ჯგუფის ჩამოყალიბება ხელს შეუწყობს სპეკულაციების დასრულებას და მოხსნის ძალიან ბევრ კითხვის ნიშანს. აბაშიშვილი ამბობს, რომ ჯგუფი უნდა იყოს მაღალი ლეგიტიმაციის მქონე:



**„ჩვენ მივესალმებით პრემიერ-მინისტრის ინიციატივას შეიქმნას სამუშაო ჯგუფი საქართველოს კონსტიტუციაში შესატანი ცვლილებების თაობაზე. ჩვენ ვფიქრობთ, რომ აღნიშნული განცხადების სულისკვეთება მნიშნელოვანად შეუწყობს ხელს ხსენებულ თემაზე სპეკულაციების დასრულებას და ამავდროულად მოხსნის ძალიან ბევრ კითხვის ნიშანს. ასევე, ჩვენ სრულად ვიზიარებთ იმ იდეას, რომ აღნიშნულ ჯგუფს უნდა ჰქონდეს ძალიან მაღალი ლეგიტიმაცია. შესაბამისად საქართველოს პრეზიდენტი, როგორც სახელმწიფოს მეთაური, ქვეყნის ერთიანობისა და ეროვნული დამოუკიდებლობის გარანტი, რომელიც ამავე დრის არ არის არც ერთი პოლიტიკური პარტიის წევრი, მზად არის დააფუძნოს აღნიშნული სამუშაო ჯგუფი. საქართველოს პრეზიდენტის, საქართველოს პრემიერ-მინისტრისა და საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარის თანათავმჯდომარეობით",** — განაცხადა გიორგი აბაშიშვილმა.

## გიორგი კვირიკაშვილი:

# არაჯანსაღი სპეკულირებაა, რომ ქვეყანას დაღუპავს „ოცნების" საპარლამენტო უმრავლესობა



**საკონსტიტუციო უმრავლესობა იმიტომ არის საჭირო, რომ ჩვენი დანაპირები შევასრულოთ,** — განაცხადა პრემიერმა გიორგი კვირიკაშვილმა მთავრობის სხდომაზე. ის განცხადებები, რომ ქვეყნის დემოკრატიული განვითარებისთვის დამღუპველი იქნება თუ „ქართული ოცნება" უმრავლესობით შევა პარლამენტში, კვირიკაშვილს არაჯანსაღ სპეკულირებად მიაჩნია. **„აბსოლუტური უმრავლესობით გაიმარჯვა „ქართულმა ოცნებამ", რაც ჩვენთვის, უპირველეს ყოვლისა, არის უდიდესი პასუხისმგებლობა ჩვენი ქვეყნის, ჩვენი ამომრჩევლის წინაშე. ამიტომ ეს აბსოლუტურად არაჯანსაღი სპეკულაცია, რომ დაიღუპა ქვეყანა დღეს, რადგან „ქართული ოცნება" იმარჯვებს საკონსტიტუციო უმრავლესობით, არის ძალიან ხელოვნური. ჩვენ გვქონდა წარსულში პრეცედენტი, როდესაც კონსტიტუცია იყო მორგებული ერთ კაცზე და ერთ პოლიტიკურ ძალაზე, რამაც ხელისუფლების უზურპაცია მოახდინა. ჩვენ სწორედაც იმიტომ გვინდა საკონსტიტუციო უმრავლესობა, რომ ჩვენი დანაპირები შევასრულოთ ჩვენი ამომრჩევლის წინაშე და ის ძალიან დინამიკური და ამბიციური განვითარების გეგმა, რომელზეც ჩვენ მთელი ამ პერიოდის განმავლობაში ვსაუბრობდით და რომლის განხორციელებაც დავიწყეთ, მივიყვანოთ ბოლომდე, რაც ნიშნავს იმას, რომ მომავალი 4 წლის განმავლობაში საქართველოში უნდა შეიქმნას ეკონომიკური განვითარების უპრეცედენტოდ მაღალი დინამიკა და ქვეყანამ მოახდინოს ძალიან მნიშვნელოვანი გარღვევა ეკონომიკური და სოციალური განვითარების მიმართულებით, დემოკრატიული ინსტიტუციების განვითარების მიმართულებით და ევროპული და ევროატლანტიკური დღის წესრიგიდან გამომდინარე გააგრძელოს ის ძალიან მნიშვნელოვანი რეფორმები, რომლებიც დაწყებულია. ამისთვის გვინდა ჩვენ საკონსტიტუციო უმრავლესობა და ეს არის უპირველეს ყოვლისა, უდიდესი პასუხისმგებლობა თითოეული ამომრჩევლის წინაშე",** — განაცხადა პრემიერმა.

# 48 ოლქში არჩევნები 30 ოქტომბერს ჩატარდება, 2 ოლქში კი განმეორებითი კენჭისყრა 22-ში გაიმართება




**საპარლამენტო არჩევნების მეორე ტურის თარიღი ოფიციალურად დასახელდა. 48 მაჟორიტარულ ოლქში არჩევნები 30 ოქტომბერს ჩატარდება.**

საარჩევნო ადმინისტრაციაში განმეორებითი კენჭისყრის საკითხიც შეათანხმეს. კენჭისყრა მარნეულსა და ზუგდიდში 22 ოქტომბერს გაიმართება. 36-ე და 66-ე ოლქებში 22 ოქტომბერს განმეორებითი კენჭისყრის შედეგების მიხედვით, მეორე ტურის საკითხი გადაწყდება.

ცესკო მეორე ტურების ჩასატარებლად ბიუჯეტიდან 6 მილიონ 56 ათას 718 ლარს ითხოვს. ამის შესახებ ცენტრალური საარჩევნო კომისიის თავმჯდომარემ განაცხადა.



# „დემოკრატიის ხელშეწყობის თვალსაზრისით, საქართველო რეგიონსა და მსოფლიოში მნიშვნელოვანი ლიდერია"

ამერიკელი კონგრესმენები ერიკ პოლსენი და ბილ კიტინგი საქართველოში 8 ოქტომბერს ჩატარებულ საპარლამენტო არჩევნებს ეხმიანებიან და ქართველ ხალხს არჩევნების დემოკრატიულად ჩატარებას ულოცავენ.

**„ვულოცავ ქართველ ხალხს თავისუფალი და სამართლიანი საპარლამენტო არჩევნების ჩატარებას და დემოკრატიის მიმართ მტკიცე ერთგულების დემონსტრირებას",** — ნათქვამია ერიკ პოლსენის განცხადებაში.

კონგრესმენი ბილ კიტინგი მაღალ შეფასებას აძლევს ქვეყანაში დემოკრატიული რეფორმების კუთხით გაწეულ სამუშაოს, რაც, მისი თქმით, უზრუნველყოფს იმას, რომ მთავრობა ქართველი ხალხის ნებას გამოხატავდეს.

**„თავისუფლად და სამართლიანად ჩატარებულმა არჩევნებმა საქართველო, დემოკრატიული ინსტიტუტების ხელშეწყობის თვალსაზრისით, მთელს რეგიონსა და მსოფლიოში მნიშვნელოვან ლიდერად აქცია",** — წერს ბილ კიტინგი.

ბილ კიტინგი იმედს გამოთქვამს, რომ საქართველოში არჩევნების მეორე ტურიც მაღალი დემოკრატიული სტანდარტით ჩატარდება, რაც კიდევ უფრო განამტკიცებს საქართველოს, როგორც დემოკრატიისა და კანონის უზენაესობის განმტკიცების კუთხით ლიდერის პოზიციას.

**„ქართული ოცნება“ საკონსტიტუციო უმრავლესობის მოპოვებისთვის იბრძვის, „ნაციონალური მოძრაობა“ — მეტი მანდატისთვის. მმართველ ძალაში მიიჩნევენ, 30 ოქტომბერს, მეორე ტურში, ხელისუფლების გამარჯვება იმისათვის არის საჭირო, რომ ნაციონალებისთვის მანდატების დამატება არასტაბილური ვითარებისკენ გადადგმული ნაბიჯი იქნება.**

**მიმდინარე პოლიტიკური პროცესების შეფასების მიზნით, დღეს პარლამენტის ადამიანის უფლებათა დაცვის კომიტეტის თავმჯდომარე ეკა ბესელია გვესაუბრება:**



# ეკა ბესელია: თუ ხელისუფლების ხიბლში ჩაძირვას დავიწყებთ, მომავალ წელს, თვითმმართველობის არჩევნებია, შემდეგ საპრეზიდენტო...

**— „ქართული ოცნების“ ლიდერები მიიჩნევენ, რომ მეორე ტურში, „ნაციონალური მოძრაობის“ დამარცხება ღირსების ტესტი იქნება. თქვენი პროგნოზი როგორია, მმართველი გუნდი მანდატების მოპოვებას შეძლებს?**

— საქართველოში მეორე ტური მხოლოდ იმიტომ დაინიშნა, რომ თავის დროზე, თამამი გადაწყვეტილება მივიღეთ და 50-პროცენტიანი ბარიერი შემოვიღეთ. ამ გადაწყვეტილების მიღებას სხვა არაფერი გვაიძულებდა, თუ არა ის პოლიტიკური გაბედულობა, რომელსაც ხელისუფლებაში მყოფი პოლიტიკური ძალა იშვიათად იჩენს. მაშინ ვთქვით, რომ ქვეყნის დემოკრატიისთვის და შორს მიმავალი, ჯანსაღი პოლიტიკური პროცესისთვის 50-პროცენტიანი ბარიერის შემოღება უკეთესი იქნებოდა, რაც პოლიტიკოსს უფრო მაღალ ლეგიტიმაციას აძლევს, ვიდრე ის, რაც აქამდე იყო. ეს გადაწყვეტილება რომ არ მიგვეღო, მეორე ტურები არ იქნებოდა.

როცა ამ გადაწყვეტილებას ვიღებდით, ვიცოდით, რომ ბევრი მეორე ტური იქნებოდა, მაგრამ ეს დემოკრატიისთვის ხარკია. 30 ოქტომბრის არჩევნებზე ერთმანეთს „ქართული ოცნება“ და „ნაციონალური მოძრაობა“ დაუპირისპირდებიან, რაც ნათელს იმას ხდის, არჩევანი სად არის და ამომრჩეველმა არჩევანი ვის სასარგებლოდ უნდა გააკეთოს. როცა არჩევანი სინათლესა და სიბნელეს შორის კეთდება, სინათლე სად არის, ამას ხედავ. ის ვინც ამბობს, რომ მხარს „ქართულ ოცნებას“ ნუ დაუჭერთ და ხმა კონკურენტ პარტიას მიეცითო, ის შენიღბულად, ფარულად თუ ქვეტექსტით ამბობს, რომ ხმა „ნაციონალურ მოძრაობას“ მიეცითო.

**— თქვენ ფიქრობთ, რომ 30 ოქტომბერს, ამომრჩეველმა არჩევანი სინათლესა და სიბნელეს შორის უნდა გააკეთოს, მაგრამ 8 ოქტომბრის არჩევნების შედეგად, „ნაციონალურმა მოძრაობამ“ 27 მანდატი მოიპოვა. ერთი მხრივ, თქვენი პროგნოზები არ გამართლდა, მაგრამ მეორე მხრივ, გარკვეული დასკვნები მოსახლეობას არ გაუკეთებია...**

— შესაძლებელია, „ნაციონალური მოძრაობის“ შედეგი ბევრს გაუკვირდა. ეს იმ ადამიანებისთვის არასასიამოვნო მოულოდნელობა იყო, ვინც სააკაშვილის რეჟიმს ებრძოდა. თუ თვითმმართველობის არჩევნების შედეგებს გავითვალისწინებთ, ვნახავთ, რომ მათ იგივე შედეგი აქვთ. ეს მოცემულობა ჩანდა და ალბათ, ამ პარტიის მხარდამჭერების სიმყარეს „რუსთავი-2“ ძალიან დაეხმარა. მათი აგიტაცია მიმართული „ქართული ოცნების“ მიმართ ჯოჯოხეთის მოწყობისთვის იყო („ჯოჯოხეთს მოგიწყობთ!“ — ნიკა გვარამიას სიტყვებია).

ამას გარდა, ალბათ, სხვა მიზეზებიცაა. ესაა პარტია, რომლის წევრებიც ერთმანეთთან ღრმა ფესვებით არიან დაკავშირებულნი. ეს ის ხალხია, ვინც სისტემას არა მხოლოდ ცენტრალურ დონეზე მართავდა, არამედ ადგილობრივ დონეზეც. ეს ადამიანები ერთმანეთს ეჭიდებიან. ბევრმა პარტია დატოვა, ხოლო დარჩენილი ადამიანები ერთმანეთთან არაჯანსაღად არიან დაკავშირებული.

მოსახლეობამ არჩევანი გააკეთა და ვინც მათ მხარი დაუჭირა, ალბათ, ისინი გარკვეულ პოლიტიკურ პასუხისმგებლობას იმაზეც იღებენ, რომ ამ ძალის წარმომადგენლებს პოლიტიკურ პროცესებში მომავალშიც ვნახავთ.

**— არასამთავრობო სექტორი ამომრჩეველს მოუწოდებს, ხმა ოპოზიციური პარტიების სასარგებლოდ - საკონსტიტუციო უმრავლესობის წინააღმდეგ მისცენ. რისთვის გჭირდებათ, საკონსტიტუციო უმრავლესობა?**

— მომავალ პარლამენტში სამი პოლიტიკური ძალა იქნება, სადაც ყველაზე მეტი მანდატი „ქართულ ოცნებას“ აქვს, შემდეგ „ნაციონალურ მოძრაობას“. მეორე ტურებში მეტი მანდატი „ნაციონალურმა მოძრაობამ“ რომ აიღოს, პარლამენტში რა მოცემულობა გვექნება? - უმძიმესი. მეორე ტურებში გამარჯვება იმისათვის არის საჭირო, რომ ნაციონალებისთვის მანდატების დამატება არასტაბილურობისკენ გადადგმული ნაბიჯი იქნება. ძალიან სახიფათო მოწოდებები კეთდება, რომ ხმა ძალადობრივი სისტემის შემქმნელებს მისცენ. ეს იმას ნიშნავს, რომ ძალადობრივი რეჟიმი დავაბრუნოთ. ვინც ამ განცხადებას აკეთებს, მას მორალური პასუხისმგებლობის აღებაც მოუწევს. მათ შორის გასული წლების სიმძიმეებზე. როცა ამ გადმოსახედიდან ამბობ, რომ მხარი „ნაციონალურ მოძრაობას“ დავუჭიროთო, მისი ქმედებების თანამონაწილე ხარ. მეორე ტურში გამარჯვება პრინციპული იმიტომ არის, რომ პარლამენტში დღეს სხვა მოცემულობაა. „ნაციონალურ მოძრაობასთან“ ჭიდილი ქვეყნისთვის არაფრის მომტანი რომ არ არის, ეს მოსახლეობამ ოთხი წლის მანძილზე ნახა. ეს პარლამენტი რა იყო? - ორ ძალას შორის მუდმივად ჭიდილი მიმდინარეობდა, რაც ძალიან რთული სანახავი იყო და ამას პროცესებისთვის მხოლოდ ცუდი შედეგი მოჰქონდა. მზად ვართ, რომ საკონსტიტუციო უმრავლესობაზე პასუხიმგებლობა ავიღოთ.

**— თუმცა, თქვენი ოპონენტები მიიჩნევენ, რომ საკონსტიტუციო უმრავლესობის მოპოვება საფრთხეებს შეიცავს...**

— სახიფათო საკონსტიტუციო უმრავლესობა კი არ არის, არამედ ის, თუ საკონსტიტუციო უმრავლესობა ვის ხელში ხვდება.

**— აპელირება წარსულის გამოცდილებაზე ხდება და მაგალითად „ნაციონალური მოძრაობის“ მმართველობა მოჰყავთ, როცა კონსტიტუციას სურვილისამებრ ცვლიდნენ...**

— „ნაციონალური მოძრაობა“ საკონსტიტუციო უმრავლესობას იმისთვის იყენებდა, რა კონსტიტუციაც დღეს გვაქვს. ოპონენტებს უნდა აშინებდეთ არა ის, რომ კონსტიტუცია უნდა შეიცვალოს, არამედ ის, რომ ისეთი კონსტიტუცია არ დარჩეს, რომელიც სააკაშვილმა თავის თავს მოარგო. საკონსტიტუციო ცვლილებებს ერთ დღეში იღებდნენ. პარლამენტის შენობის წინ ოცი ადამიანი საცოდავად ვიდექით, რომლებიც 2011 წელს, კონსტიტუციაში ამ ვერაგული ცვლილებების შეტანას ვაპროტესტებდით. მაშინ, საზოგადოება ამას წინ არ აღუდგა. მაშინ, არასამთავრობო ორგანიზაციების აქტიურობა არ მახსოვს, რომელსაც აქციების მოწყობა და რუსთაველის გამზირზე მოსვლა შეეძლო.

**— შეგიძლიათ, დააკონკრეტოთ, საკონსტიტუციო უმრავლესობა რისთვის გჭირდებათ?**

— საკონსტიტუციო ცვლილებები რომ გვჭირდება, მგონი, ეს სადავო საკითხი არ არის, რადგან სააკაშვილმა კონსტიტუცია თავის ნებაზე შეცვალა. კონსტიტუცია ვერ შევცვალეთ და ხელი რაში შეგვეშალა? — სახელმწიფო საკონსტიტუციო კომისიამ ვერ იმუშავა. დავით უსუფაშვილი ამბობს, რომ მან ყველაფერი გააკეთა, მაგრამ არაფერი არ გამოვიდა. რეალურად, მუშაობა კრახით დასრულდა და ამ პროცესში მისი როგორც თავმჯდომარის პასუხისმგებლობა არის.

**ის ხელისუფლება არ ვართ, რომელიც ფიქრობს, რომ ოთხი წელი დავასრულოთ და შემდეგ სახლში წავიდეთ. ჩვენ გვინდა, რომ „ოცნება“ დარჩეს ძალად, რომელსაც ჩვენი მოსახლეობა დაეყრდნობა. ყოველ წელს არჩევნები გვაქვს. შესაბამისად, თუ ცუდად მოვიქცევით და ძალაუფლების ხიბლში ჩაძირვას დავიწყებთ, მომავალ წელს, თვითმმართველობის არჩევნებია, შემდეგ კი - საპრეზიდენტო. პოლიტიკური ძალა, რომელიც ამ ყველაფერს ვერ გაიაზრებს, მას ამომრჩეველი მომავალ წელსვე დასჯის. საკონსტიტუციო უმრავლესობის მოპოვებაში საფრთხეს ვერ ვხედავ და თუ იმას ვამბობთ, რომ ეს საშიშია, ეს იმას ნიშნავს, რომ ჩვენს ამომრჩეველს არ ვენდობით, რომელიც შესაბამის დასკვნებს გააკეთებს.**

იხ. 7 გვ.

## სოზარ სუბარი: ეს კამპანია ნიშნავს, მხარი დავუჭიროთ სააკაშვილს, წამებას და იმ 9 წელს!..



**„ყველა ის ადამიანი, ვინც ამ კამპანიაში მონაწილეობს, ძალიან მარტივად არის „ნაციონალური მოძრაობის“ მხარდამჭერი,“ — აცხადებს იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა მინისტრი სოზარ სუბარი.**

**„მათ კამპანიას რეალურად ჰქვია მხარი დავუჭიროთ „ნაციონალურ მოძრაობას“, მხარი დავუჭიროთ მიხეილ სააკაშვილს, მხარი დავუჭიროთ ადამიანების წამებას, კერძო საკუთრების შელახვას და იმ ყველა საშინელებას, რაც ხდებოდა 9 წლის განმავლობაში. თვითონ სათაურიც და მიმართვის ადრესატებიც ძალიან სასაცილოა, იმიტომ რომ, ლაპარაკობენ პროდასავლურ ძალებზე და ჩამონათვალში არის „ლეიბორისტული პარტია“, რომელიც არც დასავლეთია, არც აღმოსავლეთი, არც სამხრეთი და არც ჩრდილოეთი. ეს არის ხმა წარსულიდან და მეტი არაფერი; ან მიმართავენ ბურჭულაძეს, რომელიც კრემლიდან ნებისმიერ დასტვენაზე მიქრის, იქ კონცერტებს აწყობს და უმღერის დითირამბებს; ან „ნაციონალური მოძრაობა“, რომლის დასავლეთში, მე არ ვიცი, რა იგულისხმება. დასავლეთში იყო ჰიტლერი, რომელიც ატარებდა იმ პოლიტიკას, რასაც ისინი ატარებდნენ, სხვა დასავლეთთან „ნაციონალურ მოძრაობას“ კავშირი არა აქვს“, — განაცხადა სოზარ სუბარმა.**

## „ნაციონალური მოძრაობა“ ხმების მისაღებად ხელოვნურად აჩენს საკონსტიტუციო უმრავლესობის შიშს



**„ქართულ ოცნებაში“ სრულად ეთანხმებიან პრემიერის იმ განცხადებას, რომ სამოქალაქო სექტორის მიმართვა პროდასავლური პარტიების მიმართ არის ორკესტრირებული „ნაციონალურ მოძრაობასთან“.**

**„მე რა თქმა უნდა, ვეთანხმები პრემიერის პოზიციას და ვიტყვი, რომ ეს არის ხელოვნურად შექმნილი ვნებათაღელვა „ნაციონალური მოძრაობის“ მხრიდან მეორე ტურის მიზნებისთვის. ძირითად ოლქებში მეორე ტურში გასული პარტიებიდან პირველ ადგილზეა „ქართული ოცნება“ და მეორე ადგილზეა „ნაციონალური მოძრაობა“. მათ სჭირდებათ საკუთარი თემების წამოწევა ,ზუსტად ხელოვნურად სურთ, ამომრჩეველი შეიყვანონ შეცდომაში და ამ შიშების გამო დააბნიონ ამომრჩეველი და მიიღონ გარკვეული მხარდაჭერა,“ — განაცხადა მანანა კობახიძემ.**

## ნათელაშვილს ახლა მაინც დაუჯერეთ!



**შალვა ნათელაშვილი ოპოზიციას ურჩევს ბოიკოტი გამოაცხადოს. პირველი ლეიბორისტის აზრით, ბოიკოტი დაასრულებს ივანიშვილის ხელისუფლებას.**

**„უმძიმესი სახელმწიფო კრიზისის პირობებში ოპოზიციამ უარი უნდა თქვას მეორე ტურში მონაწილეობაზე და პარლამენტში შესვლაზე, ეს დაამთავრებს ივანიშვილის რეჟიმს. აღნიშნული არჩევნები გახდება ოპოზიციისთვის პოლიტიკური სამარე, ხოლო საქართველოსთვის საშინელი ბედისწერა!“**

**ა, ნაცებო, თქვენი ნამდვილი მესაფლავე! ახლა მაინც დაუჯერეთ ამომრჩევლისგან გაბითურებულ ნათელაშვილს!..**

# გადამუშავდა 100 ათას ტონაზე მეტი ყურძენი... მოსახლეობის შემოსავალმა 97 მილიონ ლარზე მეტი შეადგინა

**კახეთის რეგიონში ყურძნის მიღება-გადამუშავების პროცესში მონაწილეობა მიიღო 178-მა კომპანიამ; გადამუშავდა 100 ათას ტონაზე მეტი ყურძენი და კახეთის მოსახლეობის შემოსავალმა 97 მილიონ ლარზე მეტი შეადგინა, — „რთველი 2016“ საქართველოს პრემიერ-მინისტრმა გიორგი კვირიკაშვილმა მთავრობის გუშინდელ სხდომაზე შეაჯამა.**



მთავრობის მეთაურმა კმაყოფილება გამოთქვა, რომ რთველი ძალიან წარმატებულად ჩატარდა, რისთვისაც სოფლის მეურნეობის სამინისტროს მადლობა გადაუხადა.

რაც შეეხება რთველს რაჭა-ლეჩხუმში, ყურძენი მიიღო და გადაამუშავა 24-მა კომპანიამ და მთლიანობაში 500 ტონაზე მეტი ყურძენი გადამუშავდა. რაჭის მოსახლეობის შემოსავალმა რთველის პერიოდში, 2,5 მილიონ ლარზე მეტი შეადგინა.

ორივე რეგიონში, 2016 წელს, ყურძენი ღვინის კომპანიებს 19 000-ზე მეტმა მევენახემ ჩააბარა.

**„მნიშვნელოვანია, რომ ჩვენ შევქმენით თვისობრივად განსხვავებული სუბსიდირებისა და აგროსესხების პროგრამა, რომლის დანერგვითაც, სახელმწიფომ მოახდინა მეღვინეობა-მევენახეობის მიმართულების სწორი სტიმულირება მიეღოთ და ძალიან მნიშვნელოვანია, რომ ვენახების ფართობი იზრდება. ასევე მნიშვნელოვანია, რომ განსაკუთრებული ყურადღება ექცევა ხარისხს და ადგილწარმოშობას, სწორი მიმართულებით განვითარებას, ბრენდირებული ღვინოების მსოფლიოს მასშტაბით ექსპორტს. ჩვენ ამ მიმართულებით მუშაობას გავაგრძელებთ. ძალიან მახარებს ის, რომ ევროკავშირთან თავისუფალი ვაჭრობის შესახებ შეთანხმება თანდათან ძალას იკრებს და, ევროპის მიმართულებით, ძალიან მნიშვნელოვანი რაოდენობა მიდის ექსპორტზე“,** — განაცხადა პრემიერ-მინისტრმა.

# ფრანკფურტის წიგნის ბაზრობა ოფიციალურად გაიხსნა

**18 ოქტომბერს ფრანკფურტში წიგნის საერთაშორისო ბაზრობა 2016 გაიხსნა. საზეიმო მიღებაში მონაწილეობა ბელგიის მეფე-დედოფალმა მიიღეს. ქართულ მხარეს კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრი მიხეილ გიორგაძე, განათლებისა და მეცნიერების მინისტრი ალექსანდრე ჯეჯელავა და ქართული წიგნის ეროვნული ცენტრის ხელმძღვანელი მედეა მეტრეველი წარმოადგენდნენ.**

სამინისტროს მხარდაჭერითა და ქართული წიგნის ეროვნული ცენტრის ორგანიზებით, 2016 წლის ფრანკფურტის წიგნის ბაზრობაზე საქართველო განსხვავებული პროგრამით წარსდგება. პროგრამა ძირითადად საქმიანი შეხვედრებითაა დატვირთული. დაგეგმილია ქართველი გამომცემლების მონაწილეობა ფრანკფურტის და ლაიფციგის წიგნის ბაზრობის საპატიო სტუმარი ქვეყნების საბავშვო გამომცემლების შეხვედრაზე. შეხვედრა მრგვალი მაგიდის ფორმატში გაიმართება.

# უკულტურო ადამიანს ვერც პოლიტიკური კულტურა ექნება!

## გამარჯვებულები და დამარცხებულები: ზოგიერთი გაკვეთილი და დასკვნა

**ჩატარებული საპარლამენტო არჩევნების პირველი ტურის შედეგებს თუ გავაანალიზებთ, საქართველოს არც საგარეო, არც შიდა პოლიტიკაში რაიმე მკვეთრი ცვლილებები არ მოხდება. ჯერჯერობით მხოლოდ ისაა ცნობილი, რომ ქვეყნის საკანონმდებლო ორგანოში წარმოდგენილი იქნება სამი სუბიექტი — ესენია პარტიები „ქართული ოცნება — დემოკრატიული საქართველო“, „ერთიანი საციონალური მოძრაობა“, ასევე ხუთპროცენტიანი ბარიერის დიდი გაჭირვებით გადამლახველი „პატრიოტთა ალიანსი“. ყველამ ისიც ვიცით კარგად, რომ ეს 5-პროცენტიანი „საარჩევნო ზღუდე“ ვერ დაძლიეს ირაკლი ალასანიამ და მისმა პარტია „თავისუფალმა დემოკრატებმა“ (ხმების 4,62 პროცენტი), პაატა ბურჭულაძის საარჩევნო ბლოკმა „სახელმწიფო ხალხისთვის“ (3,445 პროცენტი), ნინო ბურჯანაძის „დემოკრატიულმა მოძრაობამ“ (3,13 პროცენტი), ლეიბორისტებმა და რესპუბლიკურმა პარტიებმა (შესაბამისად, 3,13 და 1,55 პროცენტი).**

პროპორციული არჩევნების თაობაზე ცესკოს წინასწარი მონაცემებით, „ქართულმა ოცნებამ“ ამომრჩეველთა ხმების 48,67 პროცენტი მიიღო, რაც 44 საპარლამენტო მანდატს შეესაბამება, „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ კანდიდატებს ხმა მისცა ამომრჩეველთა 27,11 პროცენტმა, რის შედეგად მათ 23 მანდატი აქვთ, „პატრიოტთა ალიანსს“ კი ხმა მისცა ამომრჩეველთა 5,01 პროცენტმა, რაც 6 მანდატის ტოლფასია.

თუმცა კი, ცხადია, სულ ეს არ არის: „ქართული ოცნების“ მიერ მოპოვებულ 44 მანდატს კიდევ მაჟორიტარულ ოლქებში მოპოვებული 23 მანდატი დაემატა, სადაც მისმა კანდიდატებმა გამარჯვება არჩევნების პირველსავე ტურში იზეიმეს. ამდენად, დღესდღეობით, „ქართულ ოცნებას“ მომავალ პარლამენტში 67 ადგილი ექნება.

ასეთია ამჟამად პოლიტიკურ ძალთა შეფარდება.

სავსებით გასაგებია ისიც, რომ ახალ საკანონმდებლო ორგანოში „მეოცნებეთა“ ფრაქცია, სავარაუდოდ, კიდევ უფრო წარმომადგენლობითი შეიძლება გახდეს, თუკი ისინი დარჩენილ 50 მაჟორიტარულ ოლქში გასამართი არჩევნების მეორე ტურში გაიმარჯვებენ, სადაც მათი მოწინააღმდეგენი, ძირითადად, „ერთიანი ეროვნული მოძრაობის“ წარმომადგენლები იქნებიან.

აი, სწორედ ამაშია ამჟამინდელი შიდაპოლიტიკური ვითარების მთავარი გამოცანა: შეძლებენ თუ არა „ქართული ოცნების“ კანდიდატები თავის წარმატებულ წინსვლის გაგრძელებას და ამით პარლამენტში საკონსტიტუციო უმრავლესობის მიღებას, რაც ერთ პოლიტიკურ გუნდს (ამ შემთხვევაში, „მეოცნებეებს“) მისცემს საკანონმდებლო ორგანოში ნებისმიერ გადაწყვეტილებათა მიღების შესაძლებლობას საკუთარ პოლიტიკურ შეხედულებათა შესაბამისად? თავად „ქართული ოცნების“ ლიდერებს იმაში ეჭვი არ ეპარებათ, რომ ყველა მაჟორიტარულ ოლქში გაიმარჯვებენ, თუმცა კი ამის თაობაზე მათი ოპონენტები სერიოზულ ეჭვებს გამოთქვამენ. ოპონენტებს, კერძოდ, მიაჩნიათ, რომ ერთი პარტიის წარმომადგენელთა ხელში ამხელა ძალაუფლების კონცენტრაციას შეუძლია ქვეყნის დემოკრატიული მომავლისთვის ერთობ ძნელად განსაჭვრეტი, თუმცა კი, ზოგიერთთა აზრით, სავსებით ადვილად საწინასწარმეტყველო ნეგატიური შედეგების მოტანა.

ასეა თუ არა ეს?

— არა, ეს ასე არ არის! — ირწმუნება პარტია „ქართული ოცნება — დემოკრატიული საქართველოს“ აღმასრულებელი მდივანი **ირაკლი კობახიძე**. — ჩვენი პარტია მხოლოდ ქვეყნის გრძელვადიანი ეროვნული ინტერესებიდან გამომდინარე იმოქმედებს. მისი ყველა გადაწყვეტილება მხოლოდ ძირითადი პოლიტიკური ძალების კონსენსუსის საფუძველზე, ქართველი საზოგადოების ფართო ფენების აზრის სრულ შესაბამისობაში იქნება მიღებული.

ამასვე აცხადებენ პარტიის ლიდერი **გიორგი კვირიკაშვილი,** საარჩევნო შტაბის ხელმძღვანელი **კახი კალაძე,** სხვა ხელმძღვანელები.

— საქართველომ უკვე მიიღო მოლოცვები თავიანთი ამერიკელი და ევროპელი მეგობრებისგან არჩევნების წარმატებით ჩატარებასთან დაკავშირებით. უახლოეს ხანებში შედგება არჩევნების მეორე ტური, რის შემდეგაც „ქართული ოცნება“ ახალ მთავრობას ჩამოაყალიბებს, რომელსაც კვლავაც ექნება ქვეყნის მოქალაქეთა ნდობა და ჩვენს უცხოელ პარტნიორთა პატივისცემა, — მიაჩნია პრემიერ-მინისტრ გიორგი კვირიკაშვილს.

თუმცა კი არც ამ შემთხვევაშია საქმე მარტივად. ვერ მოასწრო ცესკომ არჩევნების შედეგების გამოქვეყნება, რომ ზოგიერთმა სულსწრაფმა და ფიცხელმა „მეოცნებემ“ იმთავითვე დაიწყო ლაპარაკი შესაძლო კონსტიტუციურ ცვლილებებზე, რომლებიც, კერძოდ, პრეზიდენტის ინსტიტუტსა და მისი სამომავლო არჩევნების წესებს ეხება. ამ ნოვაციებს უმალ გამოეხმაურა პრეზიდენტის პოლიტიკური მრჩეველი **ფიქრია ჩიხრაძე**. მან ხაზი გაუსვა იმას, რომ პრეზიდენტის ინსტიტუტთან დაკავშირებით ყველა ცვლილება ფართო საზოგადოებრივი კონსენსუსის საფუძველზე უნდა იქნას მიღებული და არა ერთ კაცის ნებასურვილით (როგორც ჩანს, ქალბატონ ჩიხრაძეს მხედველობაში ჰყავდა ბიძინა ივანიშვილი — რედ.). მისივე თქმით, თუკი „ქართული ოცნება“ კონსტიტუციურ უმრავლესობას მიიღებს და ცალმხრივად კონსტიტუციის შეცვლას გადაწყვეტს, ეს ქვეყანაში დემოკრატიას საფრთხეს შეუქმნის.

— არანაირად არ არის სასურველი (და დემოკრატიისთვისაც მიუღებელია), რომ კონსტიტუცია ერთი პოლიტიკური ძალის ნებაზე იცვლებოდეს. კონსტიტუციაში ცვლილებები აუცილებლად სხვადასხვა პოლიტიკურ ძალთა შეთანხმების შედეგად უნდა ხდებოდეს, — მიაჩნია ფიქრია ჩიხრაძეს.

მაშ ასე, არჩევნების პირველმა ტურმა ჩაიარა, თუმცა კი მრავალი საკითხი ჯერაც ბუნდოვანია. „მეოცნებეთა“ ოპონენტები, მათ შორის პირველ ტურში დამარცხებული პარტიები, არა მარტო პარლამენტში მოხვედრის იმედის გადაწურვით მოგვრილ ცრემლებს ყლაპავენ, არამედ თავიანთ ძალებსაც აერთიანებენ და „მეოცნებეთათვის“ სერიოზული ბრძოლის გამართვას აპირებენ. „ნაციონალების“ ჯერ კიდევ გუშინდელი შეურიგებელი მოწინააღმდეგეები და მოქიშპეები დღეს მზად არიან მეორე ტურში თავიანთ ამომრჩეველთა ხმები „გადაულოცონ“ მათ, ოღონდ ერთი პირობით: არ მისცენ კვირიკაშვილის პარტიას პარლამენტში საკონსტიტუციო უმრავლესობის მიღების შესაძლებლობა.

თავად „ნაციონალურ მოძრაობაში“ კი კარგა ხნის მანძილზე კამათობდნენ იმის თაობაზე, მიეღოთ თუ არა მონაწილეობა არჩევნების მეორე ტურში თუ 8 ოქტომბერს დაშვებული ზოგიერთი დარღვევის მომიზეზებით, ბოიკოტი გამოეცხადებინათ „ქართული ოცნებისთვის“ და უარი ეთქვათ პარლამენტში მუშაობაზე. სხვათა შორის, სწორედ ამ გადაწყვეტილების გატანას ცდილობდა პარტიის ოდესელი კურატორი **მიხეილ სააკაშვილი,** რომელმაც განაცხადა, რომ მეორე ტურში „ნაციონალების“ მონაწილეობას არანაირი აზრი არ ექნებოდა. საბედნიეროდ, პარტიის ხელმძღვანელობაში საღმა გონებამ ემოციებს აჯობა. ერთიანი ნაციონალური მოძრაობის პოლიტსაბჭოს წევრთა ხმების უმრავლესობით გადაწყდა არჩევნების მეორე ტურში მონაწილეობა. პარტიის ერთ-ერთი ლიდერის **აკაკი ბობოხიძის** თქმით, „ქართველმა ხალხმა უნდა გადაწყვიტოს, ხელს შეუწყობს თუ არა გაუთლელ ჭორვილელ სოფლელს კონსტიტუციური უმრავლესობის მიღებაში“. და კიდევ ერთი ციტატა: „ჩვენ არ მივცემთ ივანიშვილის რეჟიმს ქვეყანაში ერთპარტიული რეჟიმის ჩამოყალიბების ფუფუნებას და უარს არ ვიტყვით ბრძოლაზე ისეთ უმნიშვნელოვანეს მოედანზე, როგორიცაა პარლამენტი. ამიტომაც ჩვენ გადავწყვიტეთ, მონაწილეობა მივიღოთ არჩევნების მეორე ტურში. ჩვენ ყველა ტრიბუნას გამოვიყენებთ, მათ შორის პარლამენტს, მივმართავთ ყველა კანონიერ აქციას, გამოვიყენებთ საზღვარგარეთ ყველა ჩვენს კავშირს, რათა საქართველოში კვლავ შენარჩუნდეს განსხვავებული ოპოზიციური აზრის ქონის უფლება“, — განაცხადა ერთიანი ნაციონალური მოძრაობის პირველმა ნომერმა **დავით ბაქრაძემ**.



Idel.Реалии (RFE/RL)

— სავსებით მართებული გადაწყვეტილებაა! — ასე აფასებს „ნაციონალების“ პოზიციას პოლიტოლოგი **სოსო ცინცაძე**. — ერთიანი ნაციონალური მოძრაობის უარი ახლად არჩეულ პარლამენტში შესვლაზე, კატასტროფის ტოლფასი იქნებოდა, ვინაიდან ამ შემთხვევაში პარტიას საბიუჯეტო დაფინანსების მნიშვნელოვანი სახსრები მოაკლდებოდა, ასევე ტელეკომპანია „რუსთავი-2“-ის დაკარგვის საფრთხის წინაშე დადგებოდა და საზო-

**არჩევნების პირველმა ტურმა ჩაიარა, თუმცა კი მრავალი საკითხი ჯერაც ბუნდოვანია. „მეოცნებეთა" ოპონენტები, მათ შორის პირველ ტურში დამარცხებული პარტიები, არა მარტო პარლამენტში მოხვედრის იმედის გადაწურვით მოგვრილ ცრემლებს ყლაპავენ, არამედ თავიანთ ძალებსაც აერთიანებენ და „მეოცნებეთათვის" სერიოზული ბრძოლის გამართვას აპირებენ. „ნაციონალების" ჯერ კიდევ გუშინდელი შეურიგებელი მოწინააღმდეგეები და მოქიშპეები დღეს მზად არიან, მეორე ტურში თავიანთ ამომრჩეველთა ხმები „გადაულოცონ" მათ, ოღონდ ერთი პირობით: არ მისცენ კვირიკაშვილის პარტიას პარლამენტში საკონსტიტუციო უმრავლესობის მიღების შესაძლებლობა.**

გადოებრივ აზრზე წვდომას შესაძლებლობის გარეშე დარჩებოდა.

ეს კი იმას ნიშნავს, რომ „რუსთავი-2"-ს, სოსო ცინცაძის აზრით, ლომის წილი მიუძღვის იმ შედარებით მაღალ შედეგებში, რასაც ერთიანმა ნაციონალურმა მოძრაობამ ახლანდელ არჩევნებში მიაღწია.

მაშ, დავაჯამოთ: „ოცნების" ზოგიერთი წარმომადგენლის გამონათქვამები წყალს უშვებენ „ნაციონალთა" წისქვილზე, რომლებიც ამომრჩევლებს გაფაციცებულები აშინებენ „მეოცნებეთა" მიერ საპარლამენტო უმრავლესობის მიღების საფრთხობელით. ისე, კაცმა რომ თქვას, მათ ქცევაში გასაკვირი არც არაფერია: ასეთია პოლიტიკური ბრძოლის წესები.

* * *

ის, რომ განვლილი სახალხო კენჭისყრა გავლენას იქონიებდა მონაწილე პარტიების ბედ-იღბალზე, თავიდანვე იყო ცნობილი. მაგრამ, ცოტა ვინმეს თუ ეგონა, რომ შედეგი ისეთი მყისიერი იქნებოდა, როგორც ეს „თავისუფალ დემოკრატთა" შემთხვევაში მოხდა.

თავდაპირველად პარტიიდან გასვლის შესახებ მისმა ერთ-ერთმა ლიდერმა **ალექსი პეტრიაშვილმა** განაცხადა. თანაც საკუთარი გადაწყვეტილება მეგობრებსა და კოლეგებს... სოციალური ქსელის ფეისბუქის მეშვეობით შეატყობინა. მის შემდეგ უკვე „თავისუფალი დემოკრატების" მთავარმა მოქმედმა პირმა **ირაკლი ალასანიამ** ბრიფინგზე განაცხადა, რომ მიდის პარტიის თავმჯდომარის თანამდებობიდან და დროებით წყვეტს პოლიტიკურ მოღვაწეობას. ჰოდა, დაიწყო, მაგრამ რა დაიწყო: „თავისუფალ დემოკრატთა" პარტიას, ფაქტობრივად, მთელი ხერხემალი გამოეცალა — **ვიქტორ დოლიძე, ზურაბ აბაშიძე, ირაკლი ჩიქოვანი, გია ცაგარეიშვილი.** ბუნებრივია, რომ ყველა „გაქცეულმა" პარტიასთან თავისი „გაცილება" „მაღალი სახელმწიფოებრივი ინტერესებით" ახსნა.

საგულისხმოა, რომ „თავისუფალ დემოკრატთა" დაშლა ერთობ საეჭვოდ დაემთხვა იმ შეფასებას, რომელიც საპარლამენტო არჩევნების წინ ამ პოლიტიკური ორგანიზაციის წევრებს ექს-პრემიერმა ბიძინა ივანიშვილმა მისცა რეგიონული მედიის წარმომადგენლებთან ერთ-ერთი შეხვედრის დროს. მაშინ ბატონმა ივანიშვილმა განაცხადა, რომ ალასანიას პარტიაში ბევრი ნიჭიერი პოლიტიკოსია, ოღონდ ისინი ზედმეტად არიან გუნდური თამაშის მომხრენი და ზედმეტად სოლიდარულნი არიან თავიანთ ლიდერთან. უნდა ვივარაუდოთ, რომ ცოტა ხანში იმასაც შევიტყობთ, თუ სად ნახავენ ახალ ნავსაყუდელს ყოფილი „თავისფალი დემოკრატები".

კარგი დღეები არც „რესპუბლიკურ პარტიას" უდგას, რომელიც ამომრჩეველთა მიღებული ხმების ოდენობით ტრადიციული ქართული პარტიების ნუსხის ბოლოში აღმოჩნდა. თან ეს იმ პირობებში, როცა რესპუბლიკელთა სიის სათავეში იდგა ისეთი გამოცდილი პოლიტიკოსი, როგორიცაა პარლამენტის თავმჯდომარე **დავით უსუფაშვილი.** თუმცა ისიცაა, რომ არჩევნების წინ უსუფაშვილმა მეტად დაუფიქრებელი განცხადება გააკეთა: მან ამერიკელ პარტნიორებს... საქართველოს ტერიტორიაზე სამხედრო ბაზის სასწრაფოდ მოწყობის თხოვნით მიმართა, რამაც ბევრნი გააკვირვა — საქართველოს პოლიტიკურ წრეებში დაეჭვდნენ, რომ ეს წინადადება დიდად გამოცდილ რესპუბლიკელს ქვეყნის ხელმძღვანელი კოლეგებიდან ვინმესთან მაინც შეეთანხმებინა. რა არის ეს — თვითნებობა? დიახ, როგორც ჩანს, ასეა! იმის გახსენებაც შეიძლება, რომ უსუფაშვილის მეუღლემ თინა ხიდაშელმა თავდაცვის მინისტრად ყოფნისას, ასევე, თვითნებურად, პრემიერ-მინისტრის დაუკითხავად, საქართველოში ჯარში სავალდებულო გაწვევის გაუქმების გადაწყვეტილება მიიღო. ბევრმა მიმომხილველმა ქალბატონი ხიდაშელის ეს ნაბიჯი წინასაარჩევნო პოპულიზმის ნიმუშად შეაფასა. სხვათა შორის, წინასაარჩევნოდ რეგიონული მასმედიის წარმომადგენლებთან შეხვედრისას, ბიძინა ივანიშვილმა არჩევნებში სასტიკი მარცხი რესპუბლიკურ პარტიასაც უწინასწარმეტყველა და აკი მართალიც გამოდგა!

ახლა კი რესპუბლიკელთა ზოგიერთი ლიდერი თავს ბიძინა ივანიშვილის უხამსი ლანძღვით ინუგეშებს, რომელსაც საკუთარი წარუმატებლობის ლომის წილს აბრალებს. აი, რას წერს ამის თაობაზე ცნობილი ჟურნალისტი **ნუგზარ ფოფხაძე:**

„იმის თქმა, რომ არჩევნების შედეგებმა დიდად გამახარა, ნამდვილად არ შემიძლია. პარლამენტს აშკარად დააკლდება ნინო ბურჯანაძის ძლიერი გუნდის ხალხი, რომელთაც იქ მცირერიცხოვანი, მაგრამ ძლიერი ფრაქციის შექმნა შეეძლო, იქ არ იქნება ისეთი მძიმეწონიანი დიპლომატი, როგორიცაა თედო ჯაფარიძე, დინჯი უსუფაშვილი, გამოცდილი კონსტიტუციონალისტი ვახტანგ ხმალაძე... მინდოდა, სხვა სახელებიც დამესახელებინა, მაგრამ დამარცხებამ ისე გაამწარა ზოგიერთი პოლიტიკოსი, რომ სახე სრულიად დაკარგეს, სამარცხვინო ისტერიაში ჩავარდნენ, ილანძღებიან. აი, ავიღოთ თუნდაც რესპუბლიკელი დავით ბერძენიშვილის ერთი გამონათქვამი:

„პროდასავლურ, თავისუფალ, დემოკრატიულ ფასეულობებზე ორიენტირებულ ძალებში, რომლებიც დისიდენტური, ანტისაბჭოური შეგნების მატარებელნი არიან, ბიძინა ივანიშვილი არაკონკურენტუნარიანი აღმოჩნდა".

შემდეგ: „არც დიდად ნაკითხი ლევან ბერძენიშვილის, არც ირაკლი ალასანიას და რესპუბლიკელთა ბრალი არ არის, რომ პოლიტიკური კულტურის მხრივ ბიძინა ივანიშვილი მათ დიდად ჩამორჩათ..."

ისე ხომ არ გვეფიქრა, წერს ფოფხაძე, რომ ეს რესპუბლიკელები კი არ იყვნენ, ვინც განვლილ არჩევნებში სასტიკი მარცხი იწვნია (ამომრჩეველთა ხმების 1,55 პროცენტი), არამედ „ქართული ოცნება" იყო (ხმათა თითქმის 49 პროცენტი), რომელსაც მხარს უჭერდა „არასაკმარისი პოლიტიკური კულტურის მქონე" ბიძინა ივანიშვილი?

ნუგზარ ფოფხაძის ნათქვამს მხოლოდ ერთს დავამატებ: საკუთარი წარუმატებლობიდან გაკვეთილების გამოტანა, ცხადია, საჭიროა. ოღონდ არა ლანძღვა-თათხვით!



**ვადიმ ანასტასიადი**

**გაზეთ „ვეჩერნი ტბილისის" მთავარი რედაქტორი**

# ოპოზიცია - ოპოზიციის წინააღმდეგ

**საქართველოს საპარლამენტო არჩევნების მეორე ტურის მოახლოებასთან ერთად სამოქალაქო საზოგადოების ნაწილი საკონსტიტუციო უმრავლესობის წინააღმდეგ მობილიზაციას იწყებს და პროდასავლურ პარტიებს მიმართავს, საკუთარ ამომრჩევლებს მეორე ტურში „ნაციონალური მოძრაობის" მხარდაჭერისკენ მოუწოდონ. მსგავსი მიმართვის გამო მათ უკვე დაიმსახურეს მმართველი პარტიისგან კრიტიკა და შეფასება — „ნაციონალურ მოძრაობას" ამოფარებული სამოქალაქო საზოგადოება". „ქართული ოცნების" მხრიდან ეს გასაგებია, თუმცა მიმართვის მიმართ სოლიდარულნი არც მისი ადრესატები აღმოჩნდნენ. მათი აზრით, „ქართული ოცნების" საკონსტიტუციო უმრავლესობით მოსვლა საფრთხის შემცველია, თუმცა ამომრჩეველმა თავად უნდა გადაწყვიტოს, ვის სასარგებლოდ გააკეთოს არჩევანი.**



„მზად ვარ, ამ ადამიანებს შევხვდე, ვისაუბროთ ამ საკითხებზე, თუმცა ამ ეტაპზე ჩვენი პოზიცია იმაში მდგომარეობს, რომ არ ვაპირებთ „ნაციონალური მოძრაობის" მხარდაჭერას, რომელიც, ფაქტობრივად, ერთ-ერთ მთავარ გარანტად იქცა იმისა, რომ საკონსტიტუციო უმრავლესობა „ქართულ ოცნებას" მოეპოვებინა. მათ საკონსტიტუციო უმრავლესობა ფაქტობრივად მიღებული აქვთ. „ნაციონალური მოძრაობა" საერთოდ არ ასხივებს იმას, რომ რაიმე სერიოზულ ბრძოლას აპირებს. ვფიქრობ, რომ თვითონ ისინი არიან ხელშემწყობნი ამ პროცესის. აქედან გამომდინარე, ამ თამაშში შესვლას ნამდვილად არ ვაპირებთ", — აღნიშნა პარტიის„სახელმწიფო ხალხისთვის" ერთ—ერთმა ლიდერმა გიორგი ვაშაძემ.

ამომრჩევლებისადმი ზემოაღნიშნული მოწოდების გაჟღერებას არც „თავისუფალი დემოკრატები" აპირებენ, რომელთა აზრით, მათ ამომრჩეველს მკვეთრად განსაზღვრული პოზიცია აქვს, რომელიც არც „ქართული ოცნების" და არც „ნაციონალური მოძრაობის" მხარდაჭერას ითვალისწინებს.

„ახალი მემარჯვენეების" ერთ—ერთი ლიდერი მანანა ნაჭყებია კი მიიჩნევს, რომ მსგავსი მოწოდება ხელოვნურია.

„ახალ მემარჯვენეებს" ძალიან გაგვიჭირდება ჩვენი ამომრჩევლისთვის იმის მოწოდება, რომ „ნაციონალურ მოძრაობას" დაუჭირონ მხარი. პირველ რიგში - იმიტომ, რომ ჩვენი ამომრჩეველი არ არის ამისთვის მზად. გარდა ამისა, ჩვენი მხრიდან ეს ძალიან ყალბი მოწოდება იქნებოდა", — განმარტა მან.

რაც შეეხება ანალიტიკოსების მოსაზრებებს, მათი აზრი ორად გაიყო. ნაწილი მმართველი გუნდის პოზიციას იზიარებს და ფიქრობს, რომ საკონსტიტუციო ცვლილებების განხორციელება აუცილებელია, ვინაიდან არსებული რედაქცია, ადრე თუ გვიან, პრობლემებს შექმნის. მეორე ნაწილი კი უკვე არსებულ პრაქტიკას იხსენებს, რომელიც „ნაციონალური მოძრაობის" პერიოდს ეხება და ავტოკრატიის საფრთხეზე ამახვილებს ყურადღებას.

**გიორგი აბრამიშვილი,**
**„აქცენტი"**

# სემეკმა მოქალაქეებს უსაფუძვლოდ დარიცხული თანხა ჩამოაწერა




**2016 წლის სამი კვარტალის განმავლობაში ელექტროენერგიის, ბუნებრივი გაზისა და წყალმომარაგების კომპანიების მხრიდან მოქალაქეებზე უსაფუძვლოდ დარიცხული და საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის (სემეკ) მიერ ჩამოწერილი თანხების ოდენობამ 2 845 614 ლარი შეადგინა. საჯარო სხდომებზე, სადაც ხდება კომისიის საჯარო გადაწყვეტილებების მიღება, მოქალაქეებსა და კომპანიებს შორის არსებულ დავებზე შესწავლილი საკითხები წარდგენილი იყო კომისიის მომხმარებელთა საჩივრების დეპარტამენტისა და ენერგოომბუდსმენის სამსახურის მიერ.**

კომისიის მოქალაქეთა საჩივრების დეპარტამენტში მოქალაქეთა 1760 განცხადება/საჩივარი შევიდა. მათ შორის, ბუნებრივ გაზთან დაკავშირებით — 638; ელექტროენერგიასთან დაკავშირებით — 859, ხოლო სასმელ წყალთან დაკავშირებით — 263. აქედან, ბუნებრივი გაზის სექტორში ყველაზე მეტი — 599 განცხადება/საჩივარი შპს „ყაზტრანსგაზ-თბილისის" მიმართ დაფიქსირდა; ელექტროენერგეტიკის სექტორში სს „თელასის" მიმართ — 783, ხოლო წყალმომარაგების სექტორში — შპს „ჯორჯიან უოთერ ენდ ფაუერის" მიმართ — 211 განცხადება/საჩივარი.

მოქალაქეთა განცხადება/საჩივრებში დაფიქსირებული მოთხოვნები, ძირითადად, შეეხებოდა ადმინისტრაციული სახდელის დადების შესახებ კომპანიის მიერ მიღებულ დადგენილებებს, უსაფუძვლოდ დარიცხულ თანხებსა და ხანდაზმულ დავალიანებებს.

ხანდაზმულ დავალიანებად ითვლება ისეთი ტიპის დავალიანება, რომლის მოთხოვნაზე უფლების წარმოშობიდან გასულია 3 წელზე მეტი. აღნიშნული ვადა დავალიანების ხანდაზმულად ცნობასთან დაკავშირებით განისაზღვრება საქართველოს სამოქალაქო კოდექსის შესაბამისად.

№195. ხუთშაბათი, 20 ოქტომბერი, 2016 წელი.

შრომა და ანაზღაურება

# ვინ და როდის მოძებნის გონივრულ ზღვარს?

## მინიმალური ხელფასი მაქსიმალურად იგნორირებულია



**საქართველოში მინიმალური ხელფასის ცნება დავიწყებას მიეცა და მის შემოღებაზე ყოველთვის ფეხს ითრევენ. არადა, ხშირია შემთხვევა, როდესაც დასაქმებული საარსებო მინიმუმზე დაბალ ხელფასს იღებს.**

საქართველოში მინიმალური საათობრივი ხელფასი 0,42-0,45 ცენტია, საშუალო სტატისტიკური მაჩვენებელი კი 2,2 დოლარის ფარგლებშია. ამ დროს მსოფლიოს ბევრ ქვეყანაში, მათ შორის, პოსტსაბჭოთა სივრცეში, აღნიშნული მაჩვენებელი ჩვენთან შედარებით მაღალია. მაგალითად, **სომხეთში მინიმალური საათობრივი ხელფასი 0,76 ცენტია, აზერბაიჯანში – 0,77 ცენტი, რუსეთში – 0,93 ცენტი, თურქეთში კი – 1 დოლარი.**

კარგა ხანია, მინიმალური ხელფასის ცნება პრაქტიკაში საერთოდ არ არსებობს და, შესაბამისად, არც მსგავსი სტატისტიკა იწარმოება. არადა, მსოფლიოს თითქმის ყველა ქვეყანაში მინიმალური ხელფასი ყველგან არის დადგენილი. 2005 წლამდე მინიმალური ანაზღაურება 20 ლარს შეადგენდა, შემდეგ კი ასეთი ზღვარი არავის გახსენებია.

პროფკავშირების თავმჯდომარის მოადგილე გოჩა ალექსანდრია ამბობს, რომ ევროპის ქვეყნებში მინიმალური ხელფასი ყველგან მოქმედებს, მაგრამ ბიზნესი სიძნელეებს არსად აწყდება.

„მინიმალური ხელფასი საქართველოში 1997 წლიდან არსებობს, მაგრამ ის სამარცხვინოდ მცირეა. კერძო სექტორში ეს არის 20 ლარი თვეში, ხოლო საჯარო სექტორში – 135 ლარი. „საქსტატის“ მონაცემებით, საქართველოში ოფიციალური საშუალო ხელფასი არის დაახლოებით 960 ლარი, სინამდვილეში კი, ძალიან ბევრი ადამიანი მუშაობს 50, 80, 120 ლარზე – ასეთი ხელფასები აქვთ ბიბლიოთეკებში, მუსიკალურ სკოლებში და საავადმყოფოებში – სანიტრებს. მოკლედ, ამ მხრივ სიტუაცია სასაცილოა, სატირალი რომ არ იყოს. უნდა დავსხდეთ და ვიმსჯელოთ, როგორ ვუშველოთ ადამიანებს, რომლებიც შრომობენ, მაგრამ მაინც ღარიბები არიან.

ჩვენ სპეციალური კვლევა ჩავატარეთ და ასეთი შედეგი მივიღეთ: დაახლოებით 62 ათასამდე ადამიანს საქართველოში აქვს საარსებო მინიმუმზე, ანუ 163 ლარზე ნაკლები ხელფასი, ხოლო 100 ლარზე ნაკლები – 25 ათასს. თვითდასაქმებულთა ხელფასებზე ოფიციალური სტატისტიკა არ არსებობს, მაგრამ ადვილი მისახვედრია, რომ ბევრ მათგანს აქვს საარსებო მინიმუმზე ნაკლები ანაზღაურება. სამაგიეროდ, სახელმწიფო სექტორში აქვთ საკმაოდ მაღალი ხელფასები და ეს ყველამ იცის“, – განუცხადა „ბიპიენს“ ალექსანდრიამ.

რამდენად შექმნის მინიმალური ხელფასის შემოღება პრობლემებს? ბიზნესსექტორს ეს იდეა არ მოსწონს და დამსაქმებელთა ასოციაციის მეშვეობით მის განხორციელებას ეწინააღმდეგება. თსუ-ს ანალიზისა და პროგნოზირების ცენტრის ხელმძღვანელი ვახტანგ ჭარაია კი ამბობს, რომ თუკი მინიმალური ხელფასი გონივრულ ზღვარზე იქნება, მაშინ ამ პრობლემებს აღარ გადავაწყდებით:

**„ამ ყველაფერს ბაზარზე არსებული სიტუაცია განსაზღვრავს და როდესაც მინიმალურ ხელფასზე ვსაუბრობთ, დიდი სიფრთხილე გვმართებს. თუკი მინიმალური ხელფასი საარსებო მინიმუმს გაუტოლდება, მაშინ არაფერი შეიცვლება, ხოლო თუ 500 ან 600 ლარს დავაწესებთ, გრძელვადიან პერიოდში ეს უარყოფით შედეგს უფრო მოგვცემს, ვიდრე დადებითს. ეს ინვესტორებსაც დააბრკოლებს, რადგან ისინი საქართველოში იაფი სამუშაო ძალის და შრომის კოდექსის სიმარტივის გამო შემოდიან. თუ ამ ყველაფერს გავართულებთ, ინვესტორების რაოდენობაც შემცირდება. ამიტომ ვამბობ, რომ მინიმალური ხელფასის საკითხის გადაწყვეტისას დიდი სიფრთხილე გვმართებს“,** – აღნიშნა ვახტანგ ჭარაიამ.

**ეკა ბაქრაძე**

საქართველო და აბრეშუმის გზის დინამიკა

# რას მოუტანს საქართველოს ინდოეთთან, პაკისტანსა და ბანგლადეშთან პირდაპირი სავაჭრო გზების გახსნა?!

**ფიქრობდნენ თუ არა თბილისში სამხრეთ აზიის ქვეყნებთან სავაჭრო გზების გახსნაზე?!**

**ამგვარი რჩევებით უცხოელები გვამარაგებენ და გვარწმუნებენ, რომ საქართველომ ინდოეთთან, პაკისტანსა და ბანგლადეშთან პირდაპირი სავაჭრო გზების გახსნაზე დღესვე უნდა დაიწყოს მუშაობა.**

**ყოველ შემთხვევაში, ეს რეკომენდაციები გაცხადდა ამერიკა-საქართველოს ბიზნესსაბჭოს მიერ ორგანიზებულ კონფერენციაზე, სახელწოდებით, „საქართველო და აბრეშუმის გზის დინამიკა“.**

ცენტრალური აზიისა და კავკასიის ინსტიტუტის თავმჯდომარე **ფრედ სტარი** მიიჩნევს, რომ თბილისში ამ თემებზე ჯერ არავინ საუბრობს. ეს მაშინ, როცა ამგვარი ბუმი გარდაუვალია და საქართველომ თადარიგი უნდა დაიჭიროს, რომ, რაც შეიძლება მალე ამ პროცესების ნაწილი გახდეს. თუნდაც იმიტომ, რომ პაკისტანს დღესვე აქვს შესაძლებლობა, ექსპორტს კავკასიის გავლით აწარმოებდეს, მაგრამ ეს მარშრუტი დღეს არ არსებობს.



ამ თემაზე საუბრისას ამერიკის ყოფილმა ელჩმა საქართველოში **რიჩარდ ნორლანდმა** აღნიშნა, რომ საქართველო რეგიონის წამყვანი ქვეყანაა, რომელსაც არა მხოლოდ სატრანსპორტო ინფრასტრუქტურა, არამედ დამხმარე, ე. წ. „რბილი ინფრასტრუქტურაც“ აქვს განვითარებული. ეს კი აუცილებელი კომპონენტია, რათა „აბრეშუმის გზაზე“ ქვეყანამ თავი დაიმკვიდროს.

რას მოუტანს საქართველოს ინდოეთთან, პაკისტანსა და ბანგლადეშთან კიდევ უფრო დაახლოება?!

ექსპერტი ეკონომიკის საკითხებში **ვახტანგ ჭარაია** For.ge-სთან საუბრისას აცხადებს, რომ ამ სამივე ქვეყანასთან პირდაპირი სავაჭრო ურთიერთობები, ასე თუ ისე, მაინც გვაქვს. ყველაზე უკეთესი ურთიერთობა ჩამოგვიყალიბდა ინდოეთთან, მეორე ადგილზეა პაკისტანი და შემდეგ უკვე – ბანგლადეში. თუმცა ჯამურად ამ სამივე ქვეყანასთან ერთად ვაჭრობა ბოლო წლების განმავლობაში 30 მილიონ დოლარს არ აღემატება და ეს საკმაოდ სუსტი მაჩვენებელია.

„ახალგაზრდა ფინანსთა და ბიზნესმენთა ასოციაციის“ (აფბას) ანალიტიკოსი **ზურაბ კუკულაძე** For.ge-სთან საუბრისას აცხადებს, რომ ნებისმიერი ტიპის სავაჭრო ურთიერთობებში ჩვენი ქვეყნის ჩართვა მისასალმებელია, გამომდინარე იქიდან, რომ მსოფლიო ყოველდღიურად უფრო გლობალიზებული ხდება. ამდენად, სავაჭრო ურთიერთობების განვითარება, საგზაო და სატრანსპორტო დერეფნის ფუნქციის უკეთ გამოყენება ჩვენი ქვეყნისთვის გაცილებით უფრო სასარგებლო იქნება, ვიდრე ამის გამოუყენებლობა.

**„არსებობს ქვეყნები, რომელთაც მაღალტექნოლოგიური ეკონომიკები აქვთ, ჩვენი ქვეყნის მთავარი სიკეთე კი სავაჭრო გზების ათვისებაა. რაც შეეხება ინდოეთის, ბანგლადეშის, პაკისტანის მიმართულებით ტრანზიტული ფუნქციების ათვისებას, ამ ქვეყნებში ძალიან ბევრი ადამიანი ცხოვრობს და ეს ქვეყნები უნდა წარმოვიდგინოთ, როგორც მრავალ ასეულმილიონიანი და, უფრო მეტიც, მილიარდნახევრიანი ბაზარი. თუ საქართველო ისე განავითარებს სატრანსპორტო ინფრასტრუქტურას, რომ ამ ქვეყნებში არსებული სავაჭრო ურთიერთობების ათვისება საქართველოს სატრანზიტო სივრცის ხარჯზე მოხდება, ჩვენი ქვეყნისთვის ეს დამატებითი შემოსავლის მომტანი იქნება“,** – აღნიშნა ზურაბ კუკულაძემ.

**მანანა ნოზაძე**

სავაჭრო ბალანსი

# მეურნეობა, რომელიც ვაჭრობას „არ უხდება“

**საქართველოს საგარეო-სავაჭრო ურთიერთობების უაღრესად არასახარბიელო მდგომარეობა, ცხადია, ექსპორტ-იმპორტის უზარმაზარი დისბალანსით გამოიხატება და უარყოფითად აისახება როგორც ეკონომიკის განვითარების ტემპზე, ისე ახალი სამუშაო ადგილების შექმნასა და, შესაბამისად, მოსახლეობის მატერიალურ-სოციალურ ყოფაზე. ეს დიდი ხანია, ცნობილია.**

თანაც მეტად დამაფიქრებელია, რომ უარყოფითი საგარეო-სავაჭრო ბალანსის მატების ტენდენცია ამ ბოლო დროს მდგრად ხასიათს იღებს. აქვე აუცილებლად გვინდა დავძინოთ, რომ ამჟამად ჩვენში რამდენიმე უაღრესად მნიშვნელოვანი და არაერთი ნაკლებად მასშტაბური საინვესტიციო პროექტი ხორციელდება, რომელთა დასრულება ეკონომიკაზე, შესაბამისად, საგარეო-სავაჭრო სალდოსა და მთელ რიგ სხვა ასპექტზე დადებითად აისახება, მაგრამ მანამდე, რომ იტყვიან, ჯერ კიდევ მისვლაა საჭირო.



ამ ცოტა ხნის წინათ საქართველოს სტატისტიკის ეროვნულმა სამსახურმა (საქსტატმა) წლევანდელ ცხრა თვის საგარეო-სავაჭრო ბალანსთან დაკავშირებით წინასწარი მონაცემები გამოაქვეყნა. თავდაპირველად იმას აღვნიშნავთ, რომ **2016 წლის იანვარ-სექტემბერში საქართველოში საქონლით საგარეო-სავაჭრო ბრუნვამ 9 მილიარდ 104 მილიონი დოლარი შეადგინა.** წინასწარ ინფორმაციაში აღნიშნულია, რომ ეს ციფრი შარშანდელი ანალოგიური პერიოდის მაჩვენებელს 24 პროცენტით კი აღემატება, მაგრამ არა სამამულო პროდუქციის ექსპორტის, არამედ უცხოურის იმპორტის მრავალჯერადად ალმატების ხარჯზე. ამის შედეგად კი ქვეყნის საგარეო-სავაჭრო ბალანსის უარყოფითმა მაჩვენებელმა ისტორიულ მაქსიმუმს მიაღწია. რაც შეეხება კონკრეტულ ციფრებს, მდგომარეობა ასეთია: **საანგარიშო პერიოდში სამამულო პროდუქციის ექსპორტმა 8 პროცენტით იკლო, რაც ფულადი გამოხატულებით მილიარდ 512 მილიონი დოლარია, ხოლო იმპორტმა კი მთელი 34 პროცენტით მოიმატა და 7 მილიარდი 592 მილიონი დოლარი შეადგინა. ამრიგად, წლის განვლილ პერიოდში საგარეო-სავაჭრო ბალანსის უარყოფითმა მაჩვენებელმა 6 მილიარდ 80 მილიონი დოლარი შეადგინა, რაც მთლიანი საგარეო ბრუნვის 67 პროცენტია.** ეს კი, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, სავალალო რეკორდია. შედარებისთვის შეიძლება ითქვას, რომ ანალოგიური პერიოდის შარშანდელი სავაჭრო ბალანსის მაჩვენებელი ვაჭრობის მთელი მოცულობის 55 პროცენტს, შარშანწინდელი კი იმაზე კიდევ უფრო ნაკლები იყო და 49 პროცენტს შეადგენდა.

ამასთან, აუცილებლად აღსანიშნავია ის გარემოებაც, რასაც მოცემულ საკითხთან დაკავშირებით წინა პუბლიკაციებშიც ვუსვამდით ხაზს და რასაც საქსტატშიც საგანგებოდ მიუთითებენ. წლევანდელი პირველი სამი კვარტალის იმპორტის მაჩვენებლის ასეთი საგრძნობი მატება, უწინარესად, ქვეყანაში C-ჰეპატიტის მკურნალობის ფართომასშტაბიანი პროგრამის განხორციელებითაა განპირობებული, რომლის ფარგლებში დიდი ოდენობით მეტად ძვირიანი მედიკამენტები შემოედინება. თუმცა კი ისიცაა, რომ ამ გზით ქვეყნიდან ვალუტა არ გაედინება.

საგარეო-სავაჭრო ბალანსის უარყოფითი მაჩვენებელი, ბუნებრივია, ეროვნული ვალუტის კურსზეც აისახება და, როგორც ექსპერტები აღნიშნავენ, ლარის ამჟამინდელი გაუფასურების მიზეზი, სხვებთან ერთად, მისი ზრდა და ამ ტენდენციის გარკვეული მდგრადობაცაა. ამის გამოსწორების გზად კი, სავსებით სამართლიანად, სამამულო ეკონომიკის განვითარების ტემპის მატებას მიიჩნევენ, რის უპირველესი წინაპირობა უცხოური და ადგილობრივი კაპიტალის მის რეალურ სექტორში დაბანდებაა.

ბუნებრივია, რომ არსებული ვითარების გამოკვეთებაზე ზოგადი ლაპარაკი შედარებით ადვილი საქმეა, ამიტომ მეტი კონკრეტიკისთვის ისევ იმას გავიმეორებთ, რის თაობაზე წლების მანძილზე ვლაპარაკობთ: ჩვენი ეკონომიკური ალმავლობის მაგისტრალური მიმართულებები, მათ შორის, უწინარესად, აგრარული სექტორი და ტურისტული ინფრასტრუქტურა, თავიანთი, ასე ვთქვათ, „მომიჯნავე სფეროებით“, რაც შეიძლება სწრაფად უნდა განვითარდეს, ოღონდ ისე, რომ „ნაბან“ წყალს დანარჩენი ეკონომიკის „ბავშვიც“ არ გადავაყოლოთ.

**ოთარ ტურაბელიძე**

# ირაკლი ალასანია: მე არ ვაპირებ სახელმწიფო სექტორში რაიმე თანამდებობაზე მუშაობის გაგრძელებას



**„თავისუფალი დემოკრატები“ იმიტომ ვართ თავისუფალი დემოკრატები, რომ ერთმანეთს თავისუფალ სივრცესაც ვუტოვებთ, — აცხადებს ირაკლი ალასანია გადაცემა „არჩევანში“ საუბრისას.**

მისი თქმით, ვინც წავიდა და დატოვა პარტია, ეს იყო მათი თავისუფალი არჩევანი, რადგან მათ დაინახეს, რომ პოლიტიკაში ყოფნა არ უნდოდათ.

**„თავისუფალი დემოკრატები“ გამოვირჩეოდით პროფესიონალიზმით, ვიყავით პროფესიონალების გუნდი, რომელიც პოლიტიკაში მოვედით საჯარო სამსახურებიდან, თუ მათ შანსი გაუჩნდებათ რომ აკეთონ ღირებული საქმე ქვეყნისთვის, მე ვისურვებდი მათ ნახვას ამ სფეროში,“** — განაცხადა ალასანიამ.

ალასანია გავრცელებულ ინფორმაციასაც გამოეხმაურა იმის შესახებ, რომ შესაძლოა, მისი გუნდის ყოფილმა წევრებმა მაღალი თანამდებობი დაიკავონ ხელისუფლებაში.

**„მე სხვის ნაცვლად ვერ ვისაუბრებ, მაგრამ ვიცი რომ მე არანარი თანამდებობის დაკავებას არ ვაპირებ სახელმწიფო სექტორში,“** — განაცხადა ალასანიამ.

# მკურნალობის მეორე ეტაპი C ჰეპატიტით დაავადებულ პატიმართათვის

**სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს პენიტენციურ დაწესებულებებში C ჰეპატიტის ელიმინაციის პროგრამის მეორე ეტაპი დაიწყო.**

პროგრამის მეორე ეტაპზე მკურნალობაში 680 პატიმარი ერთვება, მათ შორის №2 პენიტენციური დაწესებულებიდან 50 ბენეფიციარი, №3 დაწესებულება — 9; №5 დაწესებულება — 13; №6 დაწესებულება — 35; №7 დაწესებულება — 8; №8 დაწესებულებიდან — 55; №12 დაწესებულება — 22 პატიმარი; №14 დაწესებულება —115; №15 დაწესებულება — 150; №16 დაწესებულება — 8; №17 დაწესებულება — 187 მსჯავრდებული და №18 დაწესებულებიდან — 7.




ეტაპობრივად, წლის ბოლომდე, მკურნალობაში ჩართულ პატიმართა რიცხვი 1000-მდე გაიზრდება.

C ჰეპატიტის ელიმინაციის პროგრამის მეორე ეტაპი პროგრამით გათვალისწინებულ ანტივირუსულ მკურნალობაში ყველა პატიმრის ეტაპობრივად ჩართვას გულისხმობს, განურჩევლად ღვიძლის ფიბროზის (დაზიანების) ხარისხისა. 2016 წლიდან პენიტენციურ სისტემაში C ჰეპატიტის მკურნალობა ხელმისაწვდომია ახალი მედიკამენტით — „ჰარვონით“. მანამდე კი, 2015 წლის აგვისტოდან C ჰეპატიტით დაავადებული ბრალდებულების/მსჯავრდებულების მკურნალობა ასევე ახალი მედიკამენტით — „სოფოსბუვირით“ დაიწყო. სულ 2014-2016 წლის აგვისტოს მდგომარეობით, C ჰეპატიტზე სკრინინგი 17 237 პატიმარს ჩაუტარდა; მკურნალობის კურსში 710 მსჯავრდებული/ბრალდებული ჩაერთო. მკურნალობა წარმატებით დაასრულა 557 პატიმარმა.

# არავითარი დისკრიმინაცია!

„წარმოდგენილი მტკიცებულებები არ ადასტურებენ ბრალდებულის მიერ დისკრიმინაციული მოტივით დანაშაულის ჩადენას“ — აცხადებს ტრანსგენდერი ქალის მკვლელობის მცდელობის საქმის პროკურორი ჟურნალისტებთან საუბარში. მისივე ინფორმაციით, ბრალდებული დაზარალებულს იცნობდა:

**„წარმოდგენილი მტკიცებულებები არ ადასტურებენ ბრალდებულის მიერ დისკრიმინაციული მოტივით დანაშაულის ჩადენას. ბრალდებული 2011 წლიდან კარგად იცნობდა დაზარალებულს, ისინი ერთად იხდიდნენ სასჯელს პენიტენციურ დაწესებულებაში, მისთვის კარგად იყო ცნობილი დაზარალებულის გენდერული იდენტობა და აქედან გამომდინარე, მტკიცებულებები ამ მოტივზე არ მიუთითებენ“,** — განაცხადა პროკურორმა.



(მესამე გვერდიდან)

# ეკა ბესელია:
# თუ ძალაუფლების ხიბლში ჩაძირვას დავიწყებთ, მომავალ წელს, თვითმმართველობის არჩევნებია, შემდეგ საპრეზიდენტო...



**— სხდომებს ჯგუფების წევრები აცდენდნენ და დავით უსუფაშვილის პასუხისმგებლობა რაში გამოიხატება?**

— მან კომისიის მუშაობის ეფექტურად წარმართვა ვერ შეძლო თუნდაც იმ საკითხებზე მაინც, რომლებიც შეთანხმებული იყო და რომელზედაც აქტიურად ვიმუშავეთ. ადამიანის უფლებების თვალსაზრისით, რამდენიმე კონსესუსს მივაღწიეთ და შეჯერება თუნდაც ამ საკითხებზე შეიძლებოდა. რეალურად, კომისია არაეფექტურად მუშაობდა და ამაში უსუფაშვილის წილი პასუხისმგებლობა არის. ის, რომ მას რამდენიმე პროექტი მომზადებული ჰქონდა, ეს პასუხი არ არის. კომისია მან ჩამოაყალიბა და კომისია ისე უნდა ჩამოაყალიბო, რომ კონსესუსის მიღწევა შესაძლებელი გახდეს. ცვლილებების განხორციელება აუცილებელი იყო და ამას თავის დროზე კომისიის შექმნა მოწმობს, თუმცა შედეგი ვერ მივიღეთ.

**— კომისიის მუშაობის გამო დავით უსუფაშვილს ბიძინა ივანიშვილმაც უსაყვედურა, რომელსაც სპიკერმა განუმარტა, რომ კომისიაში როგორც კვორუმის, ასევე მუშაობის პრობლემა იყო. მათ შორის „ქართული ოცნების“ მხრიდან. მისი ცნობით, ის თქვენი ისეთ მასალებს გიგზავნიდათ, რომელსაც მხოლოდ წერტილ-მძიმის დასმა სჭირდებოდა, მაგრამ მანანა კობახიძის გარდა, მუშაობით თავს სხვა არ იჩენდა...**

— მგონია, რომ სხვისთვის გადაბრალება ადვილია. უსუფაშვილის პასუხი ვნახე, მაგრამ საქმეში ჩახედული ადამიანისთვის მისი არგუმენტები მყარი არ იყო და ამას გულწრფელად გეუბნებით. დათოსთან მრავალწლიანი ურთიერთობა მაკავშირებს, მაგრამ ობიექტურობა იმის თქმას მოითხოვს, რომ აქ მისი პასუხისმგებლობის საკითხიცაა. ივანიშვილის სამდურავი აბსოლუტურად სამართლიანი იყო. სხდომები რეგულარულად არ ტარდებოდა და როგორც კვოტები, ასევე კომისიის თავმჯდომარეები მან გადაანაწილა. კომისიის თავმჯდომარედ ნაციონალები რომ დანიშნა, ეს ვისი პასუხისმგებლობაა? მათ ინტერესებში ცვლილებების განხორციელება არ იყო. უკაცრავად, მაგრამ ამ პროცესს უსუფაშვილი ხელმძღვანელობდა და რაღაცების „ოცნებისთვის“ გადაბრალება სამართლიანი არ არის. რაზეც შეთანხმებას ვაღწევდით, ის გვერდზე გადაგვედო და რაზეც ვერ ვთანხმდებით, ის გვეთქვა. სხდომები არ ტარდებოდა და პროცესი ქაოტურად მიმდინარეობდა.

**— უსუფაშვილის პასუხისმგებლობა რაში გამოიხატება — მან ორგანიზებულობა არ მოახდინა, თუ მას ცვლილებების განხორციელებისთვის პოლიტიკური ნება არ ჰქონდა?**

— არ ვიცი, მან ორგანიზებულობა რატომ ვერ მოახერხა, მაგრამ მისი პასუხისმგებლობა ჩანს, რადგან ჯგუფების და კვოტების გადანაწილება კომისიის თავმჯდომარის პასუხისმგებლობაა. რაც კი რაიმე საქმე დამიწყია, ის პროცესი ბოლომდე მიმიყვანია. ასე რომ, რადგან ეს პროცესი დაიწყო, ახლა რაიმე სხვას არ უნდა გადააბრალოს. რომ მოენდომებინა, დარწმუნებული ვარ, ყველაფერს შეძლებდა.

**— თქვენი აზრით, საქართველოში როგორი საკონსტიტუციო მოდელი იმუშავებს?**

— სუპერ შერეული მოდელი გვაქვს, რაც რაღაც მიქსია და საბოლოო ჯამში, ისეთ შედეგს იღებს, რომ სხვა ტანს სხვა თავი დაადგა. კონსტიტუციას გასწორება სჭირდება და ეს ხელისუფლების შტოებს შორის ბალანსის დაცვით უნდა მოხდეს. შინაარსობრივად ცვლილებების განხორციელება როგორ უნდა მოხდეს, ამაზე მას შემდეგ უნდა ვისაუბროთ, რაც არჩევნები დასრულდება, პარლამენტი შეიკრიბება და კომისია ჩამოყალიბდება. არ შეიძლება, დღეს იმაზე ვსაუბრობდეთ, რომ პრეზიდენტის არჩევის წესს შევცვლით ან ვინმეს უფლებამოსილებას. საჭიროა, კომისია შეიქმნას და ის კომპეტენტური ადამიანები მოვიწვიოთ, რომლებსაც შესაბამისი გამოცდილება აქვთ. უნდა ვისაუბროთ იმაზე, ორი შტოს ურთიერთობა ისე როგორ დავაბალანსოთ, რომ ქაოტური ვითარება არ იყოს. ბევრი ქვეყნის მოდელი არსებობს, რომელსაც შეიძლება დავეყრდნოთ და საქართველოს გამოცდილებაც ვნახოთ.

**— ნებისმიერი ხელისუფლებისთვის საკონსტიტუციო უმრავლესობა დიდი ფუფუნებაა. „ქართულ ოცნებას“ იმის ძალა შესწევს, რომ პოლიტიკურ ცდუნებას გაუძლოს და ბერკეტები მის სასიკეთოდ არ გამოიყენოს?**

— კარგი და მთავარი კითხვაა. საკონსტიტუციო უმრავლესობის მატარებელი პოლიტიკური ძალა უფრო ძლიერ და მაკონტროლებელ გარე თვალს ყოველთვის საჭიროებს. წარსულის გამო, ამისთვის „ნაციონალური მოძრაობა“ რომ ვერ გამოდგება, ეს უდავოა, რადგან მათ მორალური უფლება არა აქვთ. მაკონტროლებელი ფუნქცია სამოქალაქო სექტორს უნდა ჰქონდეს, რომელიც ძლიერი ფაქტორია. „ნაციონალური მოძრაობა“ რატომ დაინგრა? — იმიტომ, რომ მას საკუთარი კონტროლის მექანიზმები არ ჰქონდა და ყურადღებას არც გარე კონტროლს არ აქცევდა, მას არავის ხმა არ ესმოდა. მათ ჩვენი ხმა არ ესმოდათ, ჩვენ გვიჭერდნენ და ჩვენს მიმართ რეპრესიები იყო. პარლამენტი ისეთი გახსნილი არასოდეს არ ყოფილა, როგორც ბოლო ოთხი წლის მანძილზე. არასამთავრობო სექტორი, რომელიც ხელისუფლებას გვაკრიტიკებს, ამბობს, რომ ადამიანის უფლებათა დაცვის კომიტეტი ყველაზე გახსნილია და მან პარლამენტში მაკონტროლებელი ფუნქცია დანერგა. თუ იმას დავაკვირდებით, რა ტენდენციით მივდივართ, ნახავთ, რომ ჩვენთვის მნიშვნელოვანი ფაქტორი გარე მაკონტროლებელია.

ის ხელისუფლება არ ვართ, რომელიც ფიქრობს, რომ ოთხი წელი დავასრულოთ და შემდეგ სახლში წავიდეთ. ჩვენ გვინდა, რომ „ოცნება“ დარჩეს ძალად, რომელსაც ჩვენი მოსახლეობა დაეყრდნობა. ყოველ წელს არჩევნები გვაქვს. შესაბამისად, თუ ცუდად მოვიქცევით და ძალაუფლების ხიბლში ჩაძირვას დავიწყებთ, მომავალ წელს, თვითმმართველობის არჩევნებია, შემდეგ კი — საპრეზიდენტო. პოლიტიკური ძალა, რომელიც ამ ყველაფერს ვერ გაიაზრებს, მას ამომრჩეველი მომავალ წელსვე დასჯის. საკონსტიტუციო უმრავლესობის მოპოვებაში საფრთხეს ვერ ვხედავ და თუ იმას ვამბობთ, რომ ეს საშიშია, ეს იმას ნიშნავს, რომ ჩვენს ამომრჩეველს არ ვენდობით, რომელიც შესაბამის დასკვნებს გააკეთებს.

**— დღის წესრიგში პარლამენტის ადგილსამყოფლის განსაზღვრაც დადგება. თქვენი განწყობა როგორია, საკანონმდებლო ორგანო თბილისში უნდა იყოს თუ ქუთაისში?**

— საქართველოს იმის ფუფუნება არ აქვს, რომ პარლამენტი ორ ადგილას იყოს და ქვეყანამ ამდენი ხარჯი გაიღოს. ფინანსების ასე ხარჯვა გონივრული და რელევანტური არ არის. სჯობს, ეს თანხები ქუთაისს ინფრასტრუქტურული განვითარებისთვის მოხმარდეს. ამ საკითხზე მსჯელობას ახალ პარლამენტში დავუბრუნდებით. მგონია, რომ ნორმალურ ქვეყანაში პარლამენტი ორ ადგილას არ უნდა ფუნქციონირებდეს, რადგან ეს ხელს პარლამენტის მუშაობას და მის ხარისხს უშლის.

**— პარლამენტში იქნება მესამე ძალა — „პატრიოტთა ალიანსიც“, რომელსაც თქვენი ოპონენტები ხელისუფლების დანამატად მოიაზრებენ. მათთან მსგავსებას ამჩნევთ?**

— ამომრჩეველს უნდა ვკითხოთ, პარლამენტში ამ დოზით „ნაციონალური მოძრაობა“ რატომ არის და მცირე დოზით „პატრიოტთა ალიანსი“? საზოგადოებაში ისეთი განწყობებია, რომელიც თავის ხედვას „პატრიოტთა ალიანსის“ პოლიტიკაში ათავსებს და აერთიანებს. ეს მცირე ჯგუფია, მაგრამ არის და ალბათ, საკითხები გვექნება, რომლის თაობაზეც მათთან თემატური თანამშრომლობა შეიძლება. შეიძლება, ბევრ საკითხთან მიმართებაში პრინციპული განსხვავებები გვქონდეს, მაგრამ იქნება საკითხები, რომელზეც კონსულტაციები გაიმართება.

ესაუბრა

**თეონა მანაგაძე**

# მოთხოვნა ინტერესის გამოსახატავად

საქართველო

**შიდასახელმწიფოებრივი და ადგილობრივი გზების მესამე პროექტი (SLRP III)**

**კრედიტი/სესხი IBRD 8402-GE**

**პროექტის P148048**

**დავალების სახელწოდება: ადგილობრივი იურიდიული საკონსულტაციო მომსახურება**

**კონტრაქტი # SLRPIII/CS/ICS-07**

საქართველომ მსოფლიო ბანკისგან მიიღო დაფინანსება **შიდასახელმწიფოებრივი და ადგილობრივი გზების მესამე პროექტის განსახორციელებლად**. აღნიშნული დაფინანსების გარკვეული ნაწილი გამოყენებული იქნება ხსენებული პროექტის ფარგლებში შესასყიდი საქონლის, სამუშაოების და საჭირო საკონსულტაციო მომსახურების ხარჯების ასანაზღაურებლად, რაც საქართველოს მთავრობის თანადაფინანსებით მოხდება.

საქართველოს რეგიონული განვითარების და ინფრასტრუქტურის სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება – საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტი იწვევს ინდივიდუალურ კონსულტანტებს (კონსულტანტებს) ინტერესის გამოსახატად შემდეგი მომსახურების გასაწევად: **„ადგილობრივი იურიდიული საკონსულტაციო მომსახურებისათვის“**.

საკონსულტაციო კონტრაქტის სავარაუდო ხანგრძლივობაა 70 დღე 6 თვის განმავლობაში. მოსალოდნელია, რომ კონსულტანტი უმეტესად იმუშავებს თბილისში, მათ შორის დაახლოებით 30 დღე საველე სამუშაოებია.

დაინტერესებულმა კონსულტანტებმა უნდა წარმოადგინონ ინფორმაცია, რომელიც დაადასტურებს, რომ მათ აქვთ საკმარისი გამოცდილება ზემოხსენებული დავალების შესასრულებლად. კონსულტანტის მოკლე ბიოგრაფია (CV) უნდა მოიცავდეს შესასრულებელი დავალების შესაბამის გამოცდილებას.

კონსულტანტის შერჩევა მოხდება ინდივიდუალური კონსულტანტის შერჩევის მეთოდით მსოფლიო ბანკის ინსტრუქციებით განსაზღვრული პროცედურების შესაბამისად: მსოფლიო ბანკის სესხის ამღების მიერ კონსულტანტების შერჩევა და დაქირავება, 2011 წლის იანვარის გამოცემა, განახლებული 2014 წლის ივლისში, თავი V „ინდივიდუალი კონსულტანტის შერჩევა“.

დაინტერესებულმა კონსულტანტებმა ყურადღება უნდა გაამახვილონ მსოფლიო ბანკის ინსტრუქციების – „მსოფლიო ბანკის სესხის ამღების მიერ კონსულტანტების შერჩევა და დაქირავება [რეკონსტრუცქიისა და განვითარების საერთაშორისო ბანკის (IBRD) სესხის და განვითარების საერთაშორისო ასოციაციის (IDA) კრედიტებისა და გრანტების ფარგლებში]" (2011 წლის იანვრის გამოცემა, განახლებული 2014 წლის ივლისში,"კონსულტანტების სახელმძღვანელო პრინციპები") – 1.9 პარაგრაფზე, სადაც განსაზღვრულია მსოფლიო ბანკის პოლიტიკა ინტერესთა კონფლიქტის შესახებ. ამასთანავე, გთხოვთ გაითვალისწინოთ ქვემოთ მოცემული სპეციფიკური ინფორმაცია, რომელიც ეხება აღნიშნულ დავალებასთან დაკავშირებულ ინტერესთა კონფლიქტს: კონსულტანტი დავალებასთან მიმართებაში ანაზღაურებას მიიღებს მხოლოდ კონტრაქტში მითითებული პირობების შესაბამისად. დაუშვებელია კონსულტანტისა და მისი ფილიალების მონაწილეობა ისეთ საკონსულტაციო ან სხვა ღონისძიებებში, რომლებიც კონტრაქტის თანახმად დამკვეთთან ინტერესთა კონფლიქტს წარმოშობს. კონტრაქტი უნდა მოიცავდეს პირობებს, რომლითაც იზღუდება მომავალში კონსულტანტის მონაწილეობა სხვა მომსახურებებში, რომელიც გამომდინარეობს ან პირდაპირ კავშირშია ფირმის საკონსულტაციო მომსახურეობებთან ინსტრუქციების 1.9 და 1.10 პარაგრაფებით გათვალისწინებული მოთხოვნების თანახმად.

**კონსულტანტისათვის მოთხოვნილი კვალიფიკაცია:**

- იურისტის ხარისხი (ბაკალავრზე მაღალ ხარისხს მიენიჭება უპირატესობა);
- მინიმუმ 7-წლიანი პროფესიული გამოცდილება;
- საქართველოს სამოქალაქო კოდექსის სიღრმისეული ცოდნა;
- კარგად უნდა ურკვეოდეს საქართველოს საგადასახადო კოდექსში;
- მცირე საწარმოების დაფუძნების ადრინდელი გამოცდილება ჩაითვლება უპირატესობად;
- ადგილობრივ მთავრობასთან და თემთან მუშაობის გამოცდილება ჩაითვლება უპირატესობად;
- კონტრაქტების, წესდებების შედგენის გამოცდილება
- ენები: ქართული (აუცილებელი), ინგლისური (სასურველი)

*შენიშვნა: საავტომობილო გზების დეპარტამენტი იტოვებს უფლებას გადაამოწმოს წარმოდგენილი საბუთები და მოპოვებული ინფორმაცია გამოიყენოს შეფასების მიზნებისთვის.*

დაინტერესებულ კონსულტანტებს დამატებითი ინფორმაციის მიღება შეუძლიათ ელ–ფოსტის მეშვეობით: info@georoad.ge

ინტერესის გამოხატვა და კანდიდატთა ბიოგრაფიული მონაცემების (CV) ელექტრონული ან ბეჭდური ვერსია წარმოდგენილი უნდა იქნას ქვემოთ მითითებულ მისამართზე არაუგვიანეს **2016 წლის 3 ნოემბრის, 17:00 საათისა.**

სახელი და გვარი: გიორგი სეთურიძე

თანამდებობა: საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება – საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტის თავმჯდომარე

მისამართი: ალ. ყაზბეგის №12, თბილისი, 0160, საქართველო

ელ-ფოსტა: info@georoad.ge

ვებ-გვერდი: www.georoad.ge

# REQUEST FOR EXPRESSION OF INTEREST

**Georgia**

**Second Secondary and Local Roads Project (SLRPIII)**

**Credit / Loan No. IBRD 8402-GE**

**Project No. P148048**

**Assignment Title: Local Legal Consulting Services**

**Contract No: SLRPIII/CS/ICS-07**

Georgia has received financing from the World Bank towards the cost of the **Third Secondary and Local Roads Project** and intends to apply part of the proceeds to payments for goods, works, and related services and consulting services to be procured under this project which will be jointly financed by the Government of Georgia.

The Roads Department of the Ministry of Regional Development and Infrastructure of Georgia (RDMRDI) now invites Individual Consultants (Consultants) to express their interest in providing the following services: **"Local Legal Consulting Services"**.

The contract is expected to last 70 days (nonconsecutive) over a six month period. It is expected that the consultant will work mostly in Tbilisi, with around 30 days of field work.

Interested individuals shall provide information demonstrating that they have the necessary experience to perform the aforesaid services. CVs of the candidates should cover experience in relevant to the project activities.

The Consultant will be selected under Chapter V "Selection of Individual Consultants" selection method for a Lump-Sum contract, as described in the World Bank's Guidelines: Selection and Employment of Consultants [under IBRD Loans and IDA Credits & Grants] by World Bank Borrowers, January 2011, revised July 2014 ("Consultant Guidelines").

The attention of interested Consultants is drawn to paragraph 1.9 of the World Bank's *Guidelines: Selection and Employment of Consultants [under IBRD Loans and IDA Credits & Grants] by World Bank Borrowers*, January 2011, revised July 2014 ("Consultant Guidelines"), setting forth the World Bank's policy on conflict of interest. In addition, please refer to the following specific information on conflict of interest related to this assignment: The consultant shall not receive any remuneration in connection with the assignment except as provided in the contract. The consultant and its affiliates shall not engage in consulting or other activities that conflict with the interest of the client under the contract. The contract shall include provisions limiting future engagement of the consultant for other services resulting from or directly related to the firm's consulting services in accordance with the requirements of paragraphs 1.9 and 1.10 of the Guidelines.

Required Qualification of the Consultant:

- Degree in Law (advanced degree will be an advantage);
- At least 7 years of professional experience;
- Thorough knowledge of the Georgian Civil Code;
- Good understanding of the Georgian Tax Code;
- Prior experience establishing microenterprises will be an advantage;
- Prior experience working with Local Governments and communities will be an advantage;
- Experience drafting contracts, charters;
- Languages: Georgian (required), English (desirable).

*Note: The Road Department reserves it's right to verify submitted references and use obtained information for evaluation purposes.*

Interested consultants may obtain further information by email: info@georoad.ge

Cover letter and CVs of candidates must be submitted either as a hard copy or electronically to the address below not later than, **November 3, 2016, 17:00 hours.**

Name: Giorgi Seturidze

Position: Chairman of Roads Department of the Ministry of Regional Development and Infrastructure of Georgia

Address: 12 Al. Kazbegi Avenue, Tbilisi, 0160, Georgia

Email: info@georoad.ge

Web-Site: www.georoad.ge

# სსიპ საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდის

# განცხადება

**ქვეყნდება „აუცილებელი საზოგადოებრივი საჭიროებისათვის საკუთრების ჩამორთმევის წესის შესახებ" საქართველოს კანონის მე-4 მუხლის პირველი პუნქტისა და საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის 2016 წლის 15 სექტემბრის №1-1/498 ბრძანების შესაბამისად**

სსიპ საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდი მდგრადი ურბანული ტრანსპორტის საინვესტიციო პროექტის ფარგლებში აზიის განვითარების ბანკის დაფინანსებით ახორციელებს თბილისი - წითელი ხიდის საავტომობილო გზის (თბილისი-რუსთავის ავტომაგისტრალის) რეკონსტრუქცია-მოდერნიზაციის პროექტს, რომელიც წარმოადგენს ქვეყნის საგზაო ინფრასტრუქტურის გაუმჯობესების მიმართულებით დაგეგმილ ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს პროექტს.

თბილისი-რუსთავის მონაკვეთი წარმოადგენს თბილისი-წითელი ხიდის (აზერბაიჯანის რესპუბლიკის საზღვარი) ჩქაროსნული გზის ნაწილს. თბილისი-რუსთავის მონაკვეთი სამი ნაწილისაგან შედგება. პროექტი ითვალისწინებს არსებული 17,1 კმ. სიგრძის, 2 ზოლიანი თბილისი-რუსთავის გზის მოდერნიზირებას საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად. I –III მონაკვეთი დასრულდა. II მონაკვეთზე დამტკიცებულია მიწის გამოსყიდვისა და განსახლების გეგმა და გარემოსდაცვითი ანგარიში. მეორე მონაკვეთი (კმ. 4+000 – კმ 10+800) ახალი ურბანული ტიპის გზაა. ამ მონაკვეთით გათვალისწინებული არსებული გზის გაფართოვებას ძლიერი ზემოქმედება ექნებოდა, ამიტომ უპირატესობა მიენიჭა ახალი გზის მშენებლობას. გზის განივი კვეთი 4 ზოლიანია, თითოეული ზოლის სიგანე 3,75 მ, გზის სამოსი ასფალტობეტონისაა, კონსტრუქციები: სატრანსპორტო კვანძები, ორი მიწისქვეშა გზაგამტარი, ოთხი სატრანსპორტო ხიდი და ოთხი საფეხმავლო ხიდი.

თბილისი-რუსთავის სატრანსპორტო კვანძის მე-2 მონაკვეთზე (კმ. 4+000 – კმ 10+800) პროექტის განხორციელებისას წარმოიშვა პროექტის ზემოქმედების ქვეშ მოქცეული, კერძო საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების სახელმწიფოს მიერ გამოსყიდვის აუცილებლობა. მესაკუთრეებს წერილობით ეცნობათ განსახორციელებელი პროექტის მნიშვნელობის თაობაზე და მიეცათ პროექტის ფარგლებში მოქცეული საკუთრების ნებაყოფლობით გასხვისების წინადადება მიწის შესყიდვისა და განსახლების სამოქმედო გეგმით(**LARP**) განსაზღვრული საკომ-

# მოთხოვნა ინტერესის გამოსახატავად

**საქართველო**

**შიდასახელმწიფოებრივი და ადგილობრივი გზების მესამე პროექტი (SLRP III)**

**კრედიტი/სესხი IBRD 8402-GE**

**პროექტის P148048**

**დავალების სახელწოდება: სოფლის ტრანსპორტის საერთაშორისო კონსულტანტი**

**კონტრაქტი # SLRPIII/CS/ICS-05**

საქართველომ მსოფლიო ბანკისგან მიიღო დაფინანსება **შიდასახელმწიფოებრივი და ადგილობრივი გზების მესამე პროექტის განსახორციელებლად**. აღნიშნული დაფინანსების გარკვეული ნაწილი გამოყენებული იქნება ხსენებული პროექტის ფარგლებში შესასყიდი საქონლის, სამუშაოების და საჭირო საკონსულტაციო მომსახურების ხარჯების ასანაზღაურებლად, რაც საქართველოს მთავრობის თანადაფინანსებით მოხდება.

საქართველოს რეგიონული განვითარების და ინფრასტრუქტურის სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება – საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტი იწვევს ინდივიდუალურ კონსულტანტებს (კონსულტანტებს) ინტერესის გამოსახატად შემდეგი მომსახურების გასაწევად: **"სოფლის ტრანსპორტის საერთაშორისო კონსულტანტი"**.

საკონსულტაციო კონტრაქტის სავარაუდო ხანგრძლივობაა 70 დღე 6 თვის განმავლობაში. მათ შორის მოსალოდნელია რომ საერთაშორისო კონსულტანტი იმუშავებს საქართველოში დაახლოებით 30 დღე 3 ვიზიტის ფარგლებში, დანარჩენი პერიოდი კონსულტანტი იმუშავებს დისტანციურად.

დაინტერესებულმა კონსულტანტებმა უნდა წარმოადგინონ ინფორმაცია, რომელიც დაადასტურებს, რომ მათ აქვთ საკმარისი გამოცდილება ზემოხსენებული დავალების შესასრულებლად. კონსულტანტის მოკლე ბიოგრაფია (CV) უნდა მოიცავდეს შესასრულებელ დავალებასთან შესაბამის გამოცდილებას.

კონსულტანტის შერჩევა მოხდება ინდივიდუალური კონსულტანტის შერჩევის მეთოდით მსოფლიო ბანკის ინსტრუქციებით განსაზღვრული პროცედურების შესაბამისად: მსოფლიო ბანკის სესხის ამღების მიერ კონსულტანტების შერჩევა და დაქირავება, 2011 წლის იანვარის გამოცემა, განახლებული 2014 წლის ივლისში, თავი V „ინდივიდუალი კონსულტანტის შერჩევა".

დაინტერესებულმა კონსულტანტებმა ყურადღება უნდა გაამახვილონ მსოფლიო ბანკის ინსტრუქციების – „მსოფლიო ბანკის სესხის ამღების მიერ კონსულტანტების შერჩევა და დაქირავება [რეკონსტრუცქიისა და განვითარების საერთაშორისო ბანკის (IBRD) სესხის და განვითარების საერთაშორისო ასოციაციის (IDA) კრედიტებისა და გრანტების ფარგლებში]" (2011 წლის იანვრის გამოცემა, განახლებული 2014 წლის ივლისში,"კონსულტანტების სახელმძღვანელო პრინციპები") – 1.9 პარაგრაფზე, სადაც განსაზღვრულია მსოფლიო ბანკის პოლიტიკა ინტერესთა კონფლიქტის შესახებ. ამასთანავე, გთხოვთ გაითვალისწინოთ ქვემოთ მოცემული სპეციფიკური ინფორმაცია, რომელიც ეხება აღნიშნულ დავალებასთან დაკავშირებულ ინტერესთა კონფლიქტს: კონსულტანტი დავალებასთან მიმართებაში ანაზღაურებას მიიღებს მხოლოდ კონტრაქტში მითითებული პირობების შესაბამისად. დაუშვებელია კონსულტანტისა და მისი ფილიალების მონაწილეობა ისეთ საკონსულტაციო ან სხვა ღონისძიებებში, რომლებიც კონტრაქტის თანახმად დამკვეთთან ინტერესთა კონფლიქტს წარმოშობს. კონტრაქტი უნდა მოიცავდეს პირობებს, რომლითაც იზღუდება მომავალში კონსულტანტის მონაწილეობა სხვა მომსახურებებში, რომელიც გამომდინარეობს ან პირდაპირ კავშირშია ფირმის საკონსულტაციო მომსახურეობებთან ინსტრუქციების 1.9 და 1.10 პარაგრაფებით გათვალისწინებული მოთხოვნების თანახმად.

**კონსულტანტისათვის მოთხოვნილი კვალიფიკაცია:**

- სხვა ქვეყნებში გზების მოვლა-შენახვისათვის მიკრო საწარმოების საპილოტო პროგრამის შექმნის ან განხორციელების მინიმუმ 10-წლიანი საერთაშორისო გამოცდილება;
- სოფლის ტრანსპორტის სპეციალისტად ან სოფლის გზების ინჟინრად მუშაობის მინიმუმ 10-წლიანი საერთაშორისო გამოცდილება;
- საკონსულტაციო მომსახურების განხორციელებისას ჯგუფის ხელმძღვანელის პოზიციაზე მუშაობის მინიმუმ 5-წლიანი გამოცდილება;
- სასურველია მუშაობის გამოცდილება კავკასიის რეგიონში, თუმცა არაა სავალდებულო;
- ქართული და რუსული ენების ცოდნა ჩაითვლება უპირატესობად, თუმცა არაა სავალდებულო;

*შენიშვნა: საავტომობილო გზების დეპარტამენტი იტოვებს უფლებას გადაამოწმოს წარმოდგენილი საბუთები და მოპოვებული ინფორმაცია გამოიყენოს შეფასების მიზნებისთვის.*

დაინტერესებულ კონსულტანტებს დამატებითი ინფორმაციის მიღება შეუძლიათ ელ–ფოსტის მეშვეობით: info@georoad.ge

ინტერესის გამოხატვა და კანდიდატთა ბიოგრაფიული მონაცემების (CV) ელექტრონული ან ბეჭდური ვერსია წარმოდგენილი უნდა იქნას ქვემოთ მითითებულ მისამართზე არაუგვიანეს **2016 წლის 3 ნოემბრის 17:00 საათისა.**

სახელი და გვარი: გიორგი სეთურიძე
თანამდებობა: საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება – საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტის თავმჯდომარე
მისამართი: ალ. ყაზბეგის №12, თბილისი, 0160, საქართველო
ელ-ფოსტა: info@georoad.ge
ვებ-გვერდი: www.georoad.ge

# REQUEST FOR EXPRESSION OF INTEREST

**Georgia**

**Second Secondary and Local Roads Project (SLRPIII)**

**Credit / Loan No. IBRD 8402-GE**

**Project No. P148048**

**Assignment Title: International Rural Transport Consultant**

**Contract No: SLRPIII/CS/ICS-05**

Georgia has received financing from the World Bank towards the cost of the **Third Secondary and Local Roads Project** and intends to apply part of the proceeds to payments for goods, works, and related services and consulting services to be procured under this project which will be jointly financed by the Government of Georgia.

The Roads Department of the Ministry of Regional Development and Infrastructure of Georgia (RDMRDI) now invites Individual Consultants (Consultants) to express their interest in providing the following services: **"International Rural Transport Consultant"**.

The contract is expected to last 70 days (nonconsecutive) over a six month period. It is expected that the International Consultant will work in Georgia for around 30 days taking three trips to Georgia, with the rest of the assignment being done remotely.

Interested individuals shall provide information demonstrating that they have the necessary experience to perform the aforesaid services. CVs of the candidates should cover experience in relevant to the project activities.

The Consultant will be selected under Chapter V "Selection of Individual Consultants" selection method for a Lump-Sum contract, as described in the World Bank's Guidelines: Selection and Employment of Consultants [under IBRD Loans and IDA Credits & Grants] by World Bank Borrowers, January 2011, revised July 2014 ("Consultant Guidelines").

The attention of interested Consultants is drawn to paragraph 1.9 of the World Bank's *Guidelines: Selection and Employment of Consultants [under IBRD Loans and IDA Credits & Grants] by World Bank Borrowers*, January 2011, revised July 2014 ("Consultant Guidelines"), setting forth the World Bank's policy on conflict of interest. In addition, please refer to the following specific information on conflict of interest related to this assignment: The consultant shall not receive any remuneration in connection with the assignment except as provided in the contract. The consultant and its affiliates shall not engage in consulting or other activities that conflict with the interest of the client under the contract. The contract shall include provisions limiting future engagement of the consultant for other services resulting from or directly related to the firm's consulting services in accordance with the requirements of paragraphs 1.9 and 1.10 of the Guidelines.

Required Qualification of the Consultant:

- At least 10 years of international experience in the creation or implementation of a pilot micro-enterprises program for road maintenance in other countries;
- At least 10 years of international experience as rural transport specialist or rural roads engineer;
- At least 5 years of experience as Task Leader for the provision of consulting services;
- Experience in the Caucasus region is desirable but not mandatory;
- Knowledge of Georgian or Russian is a plus but not mandatory;

*Note: The Road Department reserves it's right to verify submitted references and use obtained information for evaluation purposes.*

Interested consultants may obtain further information by email: info@georoad.ge

Cover letter and CVs of candidates must be submitted either as a hard copy or electronically to the address below not later than, **November 3, 2016, 17:00 hours.**

Name: Giorgi Seturidze
Position: Chairman of Roads Department of the Ministry of Regional Development and Infrastructure of Georgia
Address: 12 Al. Kazbegi Avenue, Tbilisi, 0160, Georgia
Email: info@georoad.ge
Web-Site: www.georoad.ge

---

პენსაციო თანხის სანაცვლოდ. ამავე შეტყობინებით მესაკუთრეები ინფორმირებულ იქნენ, რომ მათი უარის შემთხვევაში, სსიპ საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდი იმოქმედებდა „აუცილებელი საზოგადოებრივი საჭიროებისათვის საკუთრების ჩამორთმევის წესის შესახებ" საქართველოს კანონის შესაბამისად და პროექტის ფარგლებში მოქცეულ მათ საკუთრებაზე/საკუთრების ნაწილზე ექსპროპრიაციის უფლების მოპოვების მიზნით მიმართავდა კანონმდებლობით დადგენილ ღონისძიებებს. სსიპ საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდის მიერ უძრავი ქონების გამოსყიდვის შესახებ შეთანხმება მიღწეულ იქნა მესაკუთრეების უმეტეს ნაწილთან, ხოლო შეთანხმებამიუღწეველი ქონების აუცილებელი საზოგადოებრივი საჭიროებისათვის ჩამორთმევის საკითხი განხილულ იქნა ,,აუცილებელი საზოგადოებრივი საჭიროებისათვის ექსპროპრიაციის უფლების მინიჭების მიზნით საკითხის განმხილველი კომისიის შექმნისა და დებულების დამტკიცების თაობაზე" საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის 2013 წლის 17 ივნისის №1-1/164 ბრძანებით შექმნილი ექსპროპრიაციის საკითხების განმხილველ კომისიის მიერ.

2016 წლის 15 სექტემბერს გამოიცა საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის 1-1/498 ბრძანება „აუცილებელი საზოგადოებრივი საჭიროებისათვის საქართველოს სსიპ საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდისათვის ექსპროპრიაციის უფლების მინიჭების თაობაზე", რომლითაც ექსპროპრიაციის უფლების მისანიჭებელ სუბიექტად დადგინდა სსიპ საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდი (ბრძანება გამოქვეყნებულია საქართველოს საკანონმდებლო მაცნეს ვებგვერდზე)

თბილისი - წითელი ხიდის საავტომობილო გზის თბილისი-რუსთავის სატრანსპორტო კვანძის მე-2 მონაკვეთის (კმ. 4+000 – კმ 10+800) რეკონსტრუქცია-მოდერნიზაციის პროექტით განსაზღვრული სამუშაოებისათვის სსიპ საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდს ესაჭიროება შემდეგი უძრავი ქონება:

**1. როსტომ ტატევოსიანის და ევგენია არუთინოვის თანასაკუთრება,** უძრავი ქონების საკადასტრო კოდი: № 01.18.12.022.022 საექსპროპრიაციო უძრავი ქონება: მიწის ნაკვეთის ფართი - 332კვ.მ. და მასზე არსებული შენობა-ნაგებობები და მრავალწლიანი ნარგავები. მის. ქ. თბილისი, მარნეულის ქუჩა №35.

**2. შპს „მარაბდა - 2007" –** (ს/კ №202189531) უძრავი ქონების საკადასტრო კოდი: № 81.03.12.175, საექსპროპრიაციო უძრავი ქონება: მიწის ნაკვეთის ფართი - 10 კვ.მ. მის. ქ. თბილისი, სოფ. თელეთი;

**3. შპს „სოკარ ჯორჯია პეტროლეუმი"** (ს/კ202352514) უძრავი ქონების საკადასტრო კოდი: №81.05.12.001 (მიწის ნაკვეთის წინა ნომერი81.05.00.0, საექსპროპრიაციო უძრავი ქონება: მიწის ნაკვეთის ფართი - 2400კვ.მ. და მასზე არსებული შენობა-ნაგებობები. მის. გარდაბანი, ფონიჭალა;

**4. შპს „მარაბდა - 2007" –** (ს/კ №202189531) უძრავი ქონების საკადასტრო კოდი: № 81.03.12.174, საექსპროპრიაციო უძრავი ქონება: მიწის ნაკვეთის ფართი - 48 კვ.მ. მის. გარდაბანი, ს. თელეთი;

პროექტისათვის საჭირო მიწის ნაკვეთებზე ექსპროპრიაციის უფლების მოსაპოვებლად სსიპ საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდი უახლოეს დროში მიმართავს რაიონულ(საქალაქო)სასამართლოს.

უძრავი ქონების მესაკუთრეებს დამატებით ეცნობებათ სასამართლოში განცხადების შეტანისა და სასამართლო განხილვის თარიღი.

# მოთხოვნა ინტერესის გამოსახატავად

საქართველო
შიდასახელმწიფოებრივი და ადგილობრივი გზების მესამე პროექტი (SLRP III)
კრედიტი/სესხი **IBRD 8402-GE**
პროექტის **P148048**
დავალების სახელწოდება: ადგილობრივი საინჟინრო საკონსულტაციო მომსახურება
კონტრაქტი **# SLRPIII/CS/ICS-06**

საქართველომ მსოფლიო ბანკისგან მიიღო დაფინანსება **შიდასახელმწიფოებრივი და ადგილობრივი გზების მესამე პროექტის განსახორციელებლად**. აღნიშნული დაფინანსების გარკვეული ნაწილი გამოყენებული იქნება ხსენებული პროექტის ფარგლებში შესასყიდი საქონლის, სამუშაოების და საჭირო საკონსულტაციო მომსახურების ხარჯების ასანაზღაურებლად, რაც საქართველოს მთავრობის თანადაფინანსებით მოხდება.

საქართველოს რეგიონული განვითარების და ინფრასტრუქტურის სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება – საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტი იწვევს ინდივიდუალურ კონსულტანტებს (კონსულტანტებს) ინტერესის გამოსახატად შემდეგი მომსახურების გასაწევად: **„ადგილობრივი საინჟინრო საკონსულტაციო მომსახურება“.**

საკონსულტაციო კონტრაქტის სავარაუდო ხანგრძლივობაა 70 დღე 6 თვის განმავლობაში. მოსალოდნელია, რომ კონსულტანტი უმეტესად იმუშავებს თბილისში, მათ შორის დაახლოებით 30 დღე საველე სამუშაოებია.

დაინტერესებულმა კონსულტანტებმა უნდა წარმოადგინონ ინფორმაცია, რომელიც დაადასტურებს, რომ მათ აქვთ საკმარისი გამოცდილება ზემოხსენებული დავალების შესასრულებლად. კონსულტანტის მოკლე ბიოგრაფია (CV) უნდა მოიცავდეს შესასრულებელი დავალების შესაბამის გამოცდილებას.

კონსულტანტის შერჩევა მოხდება ინდივიდუალური კონსულტანტის შერჩევის მეთოდით მსოფლიო ბანკის ინსტრუქციებით განსაზღვრული პროცედურების შესაბამისად: მსოფლიო ბანკის სესხის ამღების მიერ კონსულტანტების შერჩევა და დაქირავება, 2011 წლის იანვარის გამოცემა, განახლებული 2014 წლის ივლისში, თავი V „ინდივიდუალი კონსულტანტის შერჩევა“.

დაინტერესებულმა კონსულტანტებმა ყურადღება უნდა გაამახვილონ მსოფლიო ბანკის ინსტრუქციების – „მსოფლიო ბანკის სესხის ამღების მიერ კონსულტანტების შერჩევა და დაქირავება [რეკონსტრუცქიისა და განვითარების საერთაშორისო ბანკის (IBRD) სესხის და განვითარების საერთაშორისო ასოციაციის (IDA) კრედიტებისა და გრანტების ფარგლებში]” (2011 წლის იანვრის გამოცემა, განახლებული 2014 წლის ივლისში,“კონსულტანტების სახელმძღვანელო პრინციპები”) – 1.9 პარაგრაფზე, სადაც განსაზღვრულია მსოფლიო ბანკის პოლიტიკა ინტერესთა კონფლიქტის შესახებ. ამასთანავე, გთხოვთ გაითვალისწინოთ ქვემოთ მოცემული სპეციფიკური ინფორმაცია, რომელიც ეხება აღნიშნულ დავალებასთან დაკავშირებულ ინტერესთა კონფლიქტს: კონსულტანტი დავალებასთან მიმართებაში ანაზღაურებას მიიღებს მხოლოდ კონტრაქტში მითითებული პირობების შესაბამისად. დაუშვებელია კონსულტანტისა და მისი ფილიალების მონაწილეობა ისეთ საკონსულტაციო ან სხვა ღონისძიებებში, რომლებიც კონტრაქტის თანახმად დამკვეთთან ინტერესთა კონფლიქტს წარმოშობს. კონტრაქტი უნდა მოიცავდეს პირობებს, რომლითაც იზღუდება მომავალში კონსულტანტის მონაწილეობა სხვა მომსახურებებში, რომელიც გამომდინარეობს ან პირდაპირ კავშირშია ფირმის საკონსულტაციო მომსახურეობებთან ინსტრუქციების 1.9 და 1.10 პარაგრაფებით გათვალისწინებული მოთხოვნების თანახმად.

**კონსულტანტისათვის მოთხოვნილი კვალიფიკაცია:**
● სამოქალაქო ინჟინრის ხარისხი (ბაკალავრზე მაღალ ხარისხს მიენიჭება უპირატესობა);
● მინიმუმ 5-წლიანი პროფესიული გამოცდილება გზების ინჟინერიაში და საქართველოში გზების მოვლა-შენახვის სამუშაოების დაგეგმვასა და პროგრამირებაში.
● მინიმუმ 3-წლიანი გამოცდილება მცირე მასშტაბიანი გზების მოვლა-შენახვასთან დაკავშირებულ ტექნიკურ ასპექტებში; უპირატესობა მიენიჭება გზების მოვლა-შენახვის მექანიზმების განხორციელების გამოცდილებას.
● ენები: ქართული (აუცილებელი), საბაზისო ინგლისური (აუცილებელი)

შენიშვნა: საავტომობილო გზების დეპარტამენტი იტოვებს უფლებას გადაამოწმოს წარმოდგენილი საბუთები და მოპოვებული ინფორმაცია გამოიყენოს შეფასების მიზნებისთვის.

დაინტერესებულ კონსულტანტებს დამატებითი ინფორმაციის მიღება შეუძლიათ ელ-ფოსტის მეშვეობით: info@georoad.ge

ინტერესის გამოხატვა და კანდიდატთა ბიოგრაფიული მონაცემების (CV) ელექტრონული ან ბეჭდური ვერსია წარმოდგენილი უნდა იქნას ქვემოთ მითითებულ მისამართზე არაუგვიანეს **2016 წლის 3 ნოემბრის 17:00 საათისა.**

სახელი და გვარი: გიორგი სეთურიძე
თანამდებობა: საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება – საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტის თავმჯდომარე

მისამართი: ალ. ყაზბეგის №12, თბილისი, 0160, საქართველო
ელ-ფოსტა: info@georoad.ge
ვებ-გვერდი: www.georoad.ge

# REQUEST FOR EXPRESSION OF INTEREST

**Georgia**
**Second Secondary and Local Roads Project (SLRPIII)**
**Credit / Loan No. IBRD 8402-GE**
**Project No. P148048**
**Assignment Title: Local Engineering Consultancy Services**
**Contract No: SLRPIII/CS/ICS-06**

Georgia has received financing from the World Bank towards the cost of the **Third Secondary and Local Roads Project** and intends to apply part of the proceeds to payments for goods, works, and related services and consulting services to be procured under this project which will be jointly financed by the Government of Georgia.

The Roads Department of the Ministry of Regional Development and Infrastructure of Georgia (RDMRDI) now invites Individual Consultants (Consultants) to express their interest in providing the following services: **“Local Engineering Consultancy Services”**.

The contract is expected to last 70 days (nonconsecutive) over a six month period. It is expected that the consultant will work mostly in Tbilisi, with around 30 days of field work.

Interested individuals shall provide information demonstrating that they have the necessary experience to perform the aforesaid services. CVs of the candidates should cover experience in relevant to the project activities.

The Consultant will be selected under Chapter V “Selection of Individual Consultants” selection method for a Lump-Sum contract, as described in the World Bank’s Guidelines: Selection and Employment of Consultants [under IBRD Loans and IDA Credits & Grants] by World Bank Borrowers, January 2011, revised July 2014 (“Consultant Guidelines”).

The attention of interested Consultants is drawn to paragraph 1.9 of the World Bank’s *Guidelines: Selection and Employment of Consultants [under IBRD Loans and IDA Credits & Grants] by World Bank Borrowers*, January 2011, revised July 2014 (“Consultant Guidelines”), setting forth the World Bank’s policy on conflict of interest. In addition, please refer to the following specific information on conflict of interest related to this assignment: The consultant shall not receive any remuneration in connection with the assignment except as provided in the contract. The consultant and its affiliates shall not engage in consulting or other activities that conflict with the interest of the client under the contract. The contract shall include provisions limiting future engagement of the consultant for other services resulting from or directly related to the firm’s consulting services in accordance with the requirements of paragraphs 1.9 and 1.10 of the Guidelines.

Required Qualification of the Consultant:
● Degree in civil engineering (advanced degree will be an advantage)
● At least 5 years of professional experience in engineering of roads and the planning and programming of maintenance in Georgia.
● At least 3 years of experience in technical aspects related to the maintenance of low volume roads, preferably with experience in the implementation of maintenance mechanisms.
● Languages: Georgian (required), Basic English (required).

*Note: The Road Department reserves it’s right to verify submitted references and use obtained information for evaluation purposes.*

Interested consultants may obtain further information by email: info@georoad.ge

Cover letter and CVs of candidates must be submitted either as a hard copy or electronically to the address below not later than, **November 3, 2016, 17:00 hours.**

Name: Giorgi Seturidze
Position: Chairman of Roads Department of the Ministry of Regional Development and Infrastructure of Georgia
Address: 12 Al. Kazbegi Avenue, Tbilisi, 0160, Georgia

Email: info@georoad.ge
Web-Site: www.georoad.ge

## გორელებს უგზოობის პრობლემა აღარ შეაწუხებთ

**საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის მინისტრის მოადგილემ თენგიზ შერგელაშვილმა გორის მერთან ზურაბ ჯირკველიშვილთან ერთად ქალაქში ბოლო 4 წლის განმავლობაში რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან დაფინანსებული პროექტები დაათვალიერა.**

**2013-2016 წლებში გორში რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან 9 041 630 ლარის ღირებულების 17 ინფრასტრუქტურული პროექტი დაფინანსდა. აღნიშნული თანხის დიდი ნაწილი – 4 422 831 ლარი, ქალაქის შიდა ქუჩების საგზაო ინფრასტრუქტურის გაუმჯობესებას მოხმარდა, ნაწილი – 4264788 საკანალიზაციო სისტემების მოწესრიგებას, დანარჩენი თანხა კი – სანიაღვრე სისტემების, ხიდებისა და საბავშვო ბაღების რეაბილიტაციას.**

**დასაფინანსებელი პროექტების შერჩევისას განსაკუთრებული ყურადღება ისეთ ქუჩებზე გამახვილდა, რომლებზეც მოასფალტებული გზა არასდროს ყოფილა, ან იმდენად იყო დაზიანებული, რომ მასზე გადაადგილება შეუძლებელი იყო. დღეისათვის ეს პრობლემა მოგვარებულია.**

## გაზიფიცირების პროცესი დაიწყო

**ქობულეთში, სოფელ ციხისძირის გაზიფიცირების საპროექტო სამუშაოები აგვისტოს თვის ბოლოს, ხოლო სამშენებლო სამუშაოები დღეს 19 ოქტომბერს დაიწყო. პროცესს აჭარის მთავრობის თავმჯდომარე ზურაბ პატარაძე ქობულეთის მუნიციპალიტეტის გამგებელთან სულხან ევგენიძესთან და კომპანია „სოკარ-ჯორჯია-გაზის“ რეგიონულ დირექტორთან დავით ლეკიშვილთან ერთად გაეცნო.**

**კომპანიის წარმომადგენლების ინფორმაციით, უახლოეს პერიოდში სრულად დასრულდება გაზიფიცირება და სოფლების დაქსელვა, რაც ძალიან დიდ შვებას მისცემს ადგილობრივ მოსახლეობას. გაცილებით შემცირდება ხე-ტყის მოჭრა რაიონში, რაც გააუმჯობესებს ჩვენს ეკოლოგიურ მდგომარეობას.**

**დღემდე ციხისძირის თემის მხოლოდ 15% იყო გაზიფიცირებული. პროექტი, რომელიც დაიწყო სრულ გაზიფიცირებას მოიცავს. კერძოდ აშენდება 23 200 გრძ. მეტრი გაზსადენი , რაც 1402 კომლის ქსელში ჩართვას ითვალისწინებს. სამშენებლო სამუშაოები 2017 წლის პირველ ნახევარში დასრულდება , ხოლო მშენებლობის დასრულების შემდგომ მოსახლეობას მიეცემა საშუალება 400 ლარის საფასურის სანაცვლოდ (სურვილის შემთხვევაში უპროცენტო განვადების პირობით) მოახდინონ საკუთარი სახლების გაზიფიცირება და კომპანია სოკარის აბონენტები გახდნენ.**



ტრადიცია



# თბილისიმარათონი 23 ოქტომბერს გაიმართება

**23 ოქტომბერს თბილისის ცენტრალურ ქუჩებში გაიმართება თბილისიმარათონი 2016, რომელიც სტარტს რუსთაველის გამზირზე, პირველ კლასიკურ გიმნაზიასთან დილის 10 საათიდან აიღებს.**

შეგახსენებთ, რომ თბილისიმარათონი არის ყოველწლიური მასშტაბური საერთაშორისო გარბენი, რომელიც კომპანია „ჰაიდელბერგცემენტის“ ორგანიზებით, სპორტისა და ახალგაზრდობის სამინისტროს, თბილისის მერიის, ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის და გერმანიის საელჩოს პატრონაჟით დედაქალაქის ცენტრალურ ქუჩებში ეწყობა.

მარათონთან დაკავშირებით საგამოფენო ცენტრ ექსპოჯორჯიაში ოფიციალური პრესკონფერენცია ჩატარდა, სადაც მედიის წარმომადგენლებს „ჰაიდელბერგცემენტის“ გენერალური დირექტორი მიხაელ ჰამპელი, თბილისის მერის მოადგილე ირაკლი ლექვინაძე, სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა მინისტრის მოადგილე შალვა გოგოლაძე, ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის ხელმძღვანელი გიორგი ჩოგოვაძე, თბილისიმარათონის სპორტული დირექტორი მაია აზარაშვილი, ასევე პროექტის წარმომადგენლები პიტერ გოთვალდი და ნიკა ჯინჯიხაძე შეხვდნენ.

ღონისძიება ჯანსაღი ცხოვრების წესის პოპულარიზაციას, ქველმოქმედებას და დედაქალაქის ტურისტულ განვითარებას ემსახურება. თბილისიმარათონის მასშტაბი ყოველწლიურად მნიშვნელოვნად იზრდება და მასში სულ უფრო მეტი ადამიანი, კომპანია თუ დიპლომატიური კორპუსი მონაწილეობს.

თბილისიმარათონის რეგისტრაციიდან შემოსულ თანხას „ჰაიდელბერგცემენტი“ ტრადიციისამებრ გააორმაგებს და წელს საქართველოში პირველი ბავშვთა ჰოსპისის მშენებლობას მოახმარს. შესაბამისად, თბილისიმარათონის თითოეული მონაწილეც ქველმოქმედი ხდება.

წელსაც თბილისიმარათონი 3 გარბენს მოიცავს: ნახევარმარათონს (21,097 კმ), 10 კილომეტრიან გარბენს და ბავშვთა გარბენებს (6-11 წლამდე - 500მ და 12-15 წლამდე — 1კმ).

**ბადრი იაშვილი**

ლეგიონერი

# დიქსონმა მოგებით დაიწყო

**ევროლიგის კონკურენტი ტურნირი სახელწოდებით ჩემპიონთა ლიგა, რომელიც ფიბა-მ შექმნა და მასში მთელი ევროპა (გარდა 16 გრანდი გუნდისა) ჩართო, დაიწყო. ულებ-ი (ევროპის საკალათბურთო ლიგების კავშირი), რომელმაც ევროლიგის შესანიშნავი სისტემა შექმნა და ბოლო 15 წელზე მეტია, ევროპაში ყველაზე პრესტიჟულ და ყურებად საკლუბო ტურნირს ატარებს, ფიბა-სთან იმ კომპრომისზე წავიდა, რომ საკუთარ ტურნირში მონაწილეთა რაოდენობა 16-ამდე შეცვალა, რითაც რამდენიმე გრანდი ფიბა-ს ახალი ტურნირისთვის - ჩემპიონთა ლიგისთვის გადაულოცა.**




ჩემპიონთა ლიგაში წარმატებით ჩაერთო მაიკლ დიქსონის აეკ-ი, რომელმაც საშინაო მატჩში უნგრული „შოლნოკი“ 92:49 გაანადგურა. მეტოქის სისუსტიდან გამომდინარე, დიქსონი სასტარტო ხუთეულში არ ყოფილა, მოედანზე გატარებულ 18 წუთში კი 7 ქულა, 4 მოხსნა, 5 პასი, 1 ჩაჭრა და 1 დაფარება მოაგროვა.

მაიკლმა 7-დან 2 ორქულიანი და 5-დან 1 სამქულიანი ჩააგდო, არ დაჯარიმებულა და ბურთიც არ დაუკარგავს. საქართველოს ნაკრების მცველის თამაშში ყოფნის პერიოდში ათენელებმა მეტოქეზე 19 ქულით მეტი ჩააგდეს, მისი სარგებლიანობის კოეფიციენტი კი ცხრას გაუტოლდა.

**ცნობისთვის:** აეკ-ი ჩემპიონთა ლიგის E ჯგუფში თამაშობს და მომდევნო მატჩს 25 ოქტომბერს სტუმრად ბელგიურ „პროქსიმუს სპირუსთან“ ჩაატარებს.

აეკ-თან ჯგუფში ასევე არიან თურქული „ბეშიქთაში“, სერბული „პარტიზანი“, იტალიური „დინამო სასარი“ და გერმანული „ლუდვიგსბურგი“.

**ვიტალი ჯაფარიძე**

რაგბი

# კარტერი გაამართლეს



**საფრანგეთის რაგბის კავშირის ანტიდოპინგურმა კომისიამ „რასინგის“ მგეზავ დენ კარტერის საქმესთან დაკავშირებით გამამართლებელი განაჩენი გამოიტანა.**

ოფიციალური განცხადება მალე გაკეთდება, თუმცა, Midi Olympique-მ საკუთარ წყაროებზე დაყრდნობით გაარკვია, რომ ახალზელანდიელს არაფერი ემუქრება და მას სრულად გაამართლებენ.

რაც შეეხება „რასინგის“ კიდევ ორ მორაგბეს — ჯო როკოკოკოს და ხუან იმჰოფს, სანქციებს არც მათ მიმართ გამოიყენებენ და მხოლოდ გაფრთხილებით შემოიფარგლებიან. ზემოთჩამოთვლილ მოთამაშეებს ლიცენზია არც განხილვის პერიოდში შეუჩერდათ და კლუბის ღირსების დაცვას განაგრძობენ.

შეგახსენებთ, რომ სამივე მორაგბის სისხლში აკრძალული სტეროიდები ივნისში, ბარსელონაში გამართული ტოპ 14-ის ფინალის შემდეგ აღმოაჩინეს. კარტერისა და როკოკოკოს მენეჯერმა საიმონ პორტერმა განაცხადა, რომ მის კლიენტებს აკრძალული პრეპარატების მიღების ლიცენზია ტრავმების სამკურნალოდ ჰქონდათ.

**კობა კობახიძე**

რატომ?

# აეკ-მა ქეცბაია გაათავისუფლა

**ათენის აეკ-მა თემურ ქეცბაია მთავარი მწვრთნელის პოსტიდან გაათავისუფლა. მას „ანორთოსისი“ ეპატიჟება —კლუბი, სადაც ქეცბაიამ დიდ წარმატებას მიაღწია როგორც ფეხბურთელმა და როგორც მწვრთნელმაც. როგორც ჩანს, „ანორთოსისში“ უკვე იცოდნენ, რომ ქეცბაია ათენის აეკ-ს შორდებოდა.**



ჩვენებურის თავკაცობით აეკ-მა საბერძნეთის ჩემპიონატის გასულ ტურში „ლარისას“ სძლია (2:1) და მესამე ადგილზეა. 5 ტურში ათენელებმა მხოლოდ ერთხელ წააგეს — „ოლიმპიაკოსთან“ 0:3.

„აეკ-მა ქეცბაიასთან თანამშრომლობა დაასრულა. მადლობას ვუხდით გუნდისთვის გაწეული სამსახურისთვის და კარიერაში დიდ წარმატებებს ვუსურვებთ“ — ასეთია აეკ-ის ოფიციალური განცხადება.

**მანუჩარ გიორგაძე**

რალი



# ოჟიეს მეოთხე მწვერვალი

**სებასტიან ოჟიემ ესპანეთის რალი მოიგო და მსოფლიო ჩემპიონის ტიტული ზედიზედ მეოთხედ მოიპოვა. სეზონის დასრულებამდე ჯერაც ორი ეტაპია დარჩენილი, მაგრამ ფრანგი მრბოლი თავის უახლოეს მდევარს, ბელგიელ ტიერი ნოივილს 95 ქულას უგებს, რაც ორ ეტაპზე გადაულახავი სხვაობაა.**

ასე რომ, ფრანგმა მრბოლებმა მსოფლიო ჩემპიონის ტიტული ზედიზედ 13-ჯერ მოიპოვეს. ამათგან პირველი ცხრა ლეგენდარული სებასტიან ლოების (მას ყველა ტიტული „სიტროენთან“ ერთად აქვს მოგებული) ანგარიშზეა, ვინც იშვიათად კვლავ უბრუნდება ხოლმე WRC-ს არენას, თუმცა, მეტწილად სხვა სერიებზეა ორიენტირებული და საკუთარ გუნდსაც ფლობს.

ამგვარად, ოჟიე მეოთხე მრბოლია, ვისაც ოთხი და მეტი ტიტული აქვს მოგებული. მათ შორის პირველი ლოებია, ოთხ-ოთხი გამარჯვება კი ფინელებს იუჰა კანკუნენს და ტომი მიაკინენს აქვთ. დასკვნით ეტაპებს უელსი და ავსტრალია უმასპინძლებენ.

**ბექან დოლიძე**

ფეხბურთი

# უბერებელი მეციხოვნე

**საიმედო მეკარე ნახევარი გუნდიაო, ბევრჯერ გვსმენია. ტურინის „იუვენტუსი“ კვალიფიციურ მინდვრის მოთამაშეთა დეფიციტს ნამდვილად არ განიცდის, მაგრამ 40(!) წლის ჯანლუიჯი ბუფონის წვლილი პარტნიორთა წარმატებებში მაინც განსაკუთრებულია.**

ჩემპიონთა ლიგის ჯგუფური რაუნდის I წრის ფინიშზე „ბებერმა ქალბატონმა“ საფრანგეთში წლეულს ასევე შთამბეჭდავად მოასპარეზე „ლიონს“ 1:0 სძლია, საფინალო სასტვენის შემდეგ კი მილოცვებს გამარჯვების ულამაზესი გოლის გამტანი კუადრადო ან რომელიმე მისი სხვა თანაკლუბელი კი არ იღებდა, არამედ სწორედ იტალიური გრანდის უბერებელი მეციხოვნე, რომელმაც ჯერ ლაკაზეტის დარტყმული პენალტი მოიგერია, ხოლო შემდეგ რამდენიმე მკვდარი ბურთი აილო. საპირისპიროდ ვითარდება არმიელთა მეკარე იგორ აკინფეევის სალიგო კარიერა, რომელიც უკვე ზედიზედ 40 მატჩია, რაც გოლს უშვებს.

მესამე ტურის წინ კრიშტიანუ რონალდუს ყველაზე პრესტიჟულ ევროტურნირზე 98 გოლი ჰქონდა გატანილი, ამიტომ ელიტაში 21-წლიანი პაუზის შემდეგ აღზევებულ ვარშავის „ლეგიასთან“ ყველანი პორტუგალიელის მორიგ საიუბილეო მონაგარს ელოდნენ. მართალია, „რეალმა“ ამჯერადაც გაინავარდა — 5:1, მაგრამ მისი თილისმა მხოლოდ ორი შედეგიანი გადაცემით დაკმაყოფილდა (ბეილი, მარსელო, ასენსიო, ვასკესი, მორატა), თუმცა, დაგვეთანხმებით, კიდევ ერთი მიღწევა დროის საკითხია.

**დანარჩენი შედეგები:** **ცსკა — „მონაკო“ 1:1, „დინამო“ (ზაგრები) — „სევილია“ 0:1, „ლესტერი“ — „კოპენჰაგენი“ 1:0, „ბრიუგე“ — „პორტუ“ 1:2, „ლევერკუზენი“ — „ტოტენჰემი“ 0:0, „სპორტინგი“ — „ბორუსია“ 1:2.**

**გიორგი შოთაძე**



ტრაგედია

# ტაისონ გეის შვილი ორმხრივ სროლას ემსხვერპლა

**თანამედროვე მძლეოსნობის ამერიკელი ვარსკვლავის, ამერიკელი ტაისონ გეის ქალიშვილი ცეცხლსასროლი იარაღით მიყენებული ჭრილობით დაიღუპა. 15 წლის ტრინიტი გეი კენკუტის შტატის ქალაქ ლეკსინგტონში, ერთ-ერთი რესტორნის სიახლოვეს ორი ავტომობილიდან განხორციელებული სროლების შემდეგ დაიჭრა და რამდენიმე საათში საავადმყოფოში გარდაიცვალა.**




უკვე გავრცელდა ტაისონ გეის კომენტარიც. სპრინტერულ დისტანციებზე სირბილში მსოფლიოს 3-გზის ჩემპიონი აცხადებს, რომ მომხდარით გაოგნებულია და არ იცის, რა და როგორ მოხდა. ჯერჯერობით უცნობია, იცნობდა თუ არა გარდაცვლილი დამნაშავეებს.

ტრინიტი გეი მამის მსგავსად მძლეოსნობას მისდევდა და შარშან შტატის ჩემპიონატზე საპრიზო სამეულშიც მოხვდა.

**როსტომ რაჭველიშვილი**

## მსოფლიოს გრძელი

### სიამის ტყუპები იუბილეს აღნიშნავენ



ინდოელი დები ვინა და ვანი 2004 წლიდან საავადმყოფოში იზრდებიან. მათ მშობლებს იმის საშუალება არა აქვთ, რომ შვილების განცალკევების ოპერაციის ფული გადაიხადონ. ასე, რომ დები მთელი ამ ხნის მანძილზე, საავადმყოფოს ერთ ოთახში ცხოვრობენ. ახლა კი გეგმავენ, რომ სპეციალურ სკოლა-პანსიონში გადავიდნენ, რათა ნორმალური განვითარების საშუალება მიეცეთ.

### ასანჟს ინტერნეტი გაუთიშეს



სკანდალური ვიკილიქსის დამფუძნებელი ჯულიან ასანჟი ინტერნეტის გარეშე დარჩა. ეკვადორის მთავრობის განცხადებით, ასანჟისთვის ინტერნეტის შეზღუდვის შესახებ გადაწყვეტილება მას შემდეგ მიიღეს, რაც „ვიკილიქსმა" შეერთებული შტატების საპრეზიდენტო არჩევნებამდე რამდენიმე დღით ადრე ჰილარი კლინტონთან დაკავშირებით ახალი სკანდალური დოკუმენტები გამოაქვეყნა. ეკვადორის მთავრობაში ამბობენ, რომ ამ მასალებმა, შესაძლოა, არჩევნების შედეგებზე იქონიოს გავლენა. ასანჟი თავს ლონდონში ეკვადორის საელჩოს აფარებს.

### კანონი კანონია



საუდის არაბეთში სამეფო ოჯახის წევრი, პრინცი ბინ საუდ ალ ქაბირი სიკვდილით დასაჯეს. სიკვდილით დასჯის განაჩენი საუდის არაბეთის უზენაესმა სასამართლომ გამოიტანა. უცხოური მედიის ცნობით, პრინცი სიკვდილით არაბეთის მოქალაქის მკვლელობისთვის დასაჯეს.

### კლინტონი და ტრამპი მორიგი დებატებისთვის ემზადებიან



ჰილარი კლინტონისა და დონალდ ტრამპის რიგით მესამე შეხვედრა ლას-ვეგასში შედგება. ბოლო გამოკითხვებით, დემოკრატთა საპრეზიდენტო კანდიდატი რესპუბლიკელ ტრამპს 6 პროცენტით უსწრებს. საპრეზიდენტო არჩევნები აშშ-ში 8 ნოემბერს გაიმართება.

## ანეკდოტები

ავტოსერვისში:

— რაო, რას გვეტყვით, რა ჭირს ჩემს მანქანას? — ეკითხება მძღოლი შემკეთებელს.

— რა გითხრა, ძმაო, ცხენი რომ იყოს, გეტყოდი ტყვია დაახალე-მეთქი...



* * *

— ძვირფასო, ბავშვი საბავშვო ბაღიდან მოვიყვანე! — ამაყად ეუბნება ცოლს გვარიანად შეზარხოშებული ქმარი.

— უი, რა კარგია!... რა დავარქვათ, ძვირფასო? თუ ჩვენებს ვკითხოთ, ისინი ხომ წარჩინებული მოსწავლეები არიან!..

* * *

რაო, ბატონო უმაღლესი განათლება გაქვთ? თან ორი და ორივე წარჩინებით? მაშ, სცადეთ და მეოთხე კლასის მოსწავლესთან ერთად დაჯექით და თანამედროვე სახელმძღვანელოების დახმარებით საშინაო დავალების მომზადება სცადეთ — იგრძენით თავი ნამდვილ იდიოტად!

* * *

— ექიმო, სარკეში რომ ვიცქირები, რატომღაც სულ გული მერევა! რა ხდება, რაშია საქმე?

— არაფერი არ ხდება ჩემო კარგო, ნამდვილად არწივის მხედველობა გქონიათ...

განცხადება

იყიდება უშუალოდ კურორტ „საირმის" ტერიტორიაზე, სამკურნალო წყლებიდან რამდენიმე ათეული მეტრის დაშორებით მდებარე 2433 კვ. მეტრი საუკეთესო მიწის ნაკვეთი. ფასი — შეთანხმებით. ტელ.: 599 36 00 35; 599 17 21 21; 599 79 76 79.

## რას არ გაიგებ!..

### სამსუნგის ტელეფონები ბომბივით საშიშია



ბოლო დღეებში ინტერნეტში არაერთი ფოტო გავრცელდა, თუ როგორ დაიწვა სამსუნგის გალაქსის ნოუთ 7 სმარტფონი. ცოტა ხნის წინ ამერიკაში თვითმფრინავის ევაკუაციაც მოუწიათ, სწორედ ამ სმარტფონის აალების გამო.

აშშ-ის ფედერალური ავიაკომპანია დღეს უკვე აცხადებს, რომ ამ სმარტფონის შეტანა თვითმფრინავის ბორტზე იკრძალება. იგი ისეთივე საშიშია, როგორც იარაღი ან ასაფეთქებელი ნივთიერება. მისი ჩაბარება არც ბარგში არ შეიძლება.

თუ რომელიმე თავნება მგზავრი, მაინც შეიტანს სმარტფონს თვითმფრინავში, იგი 180 000 დოლარით დაჯარიმდება და მასზე სისხლის სამართლის საქმე აღიძვრება.

ამერიკასთან ერთად მსოფლიოს სხვა ავიაკომპანიებიც ფიქრობენ უკვე სამსუნგის ტელეფონის აკრძალვაზე.

კომპანიას აშკარად სერიოზული სამუშაოები აქვს ჩასატარებელი რეპუტაციის აღსადგენად.

### უკრაინის ღამის კლუბში ღვთისმსახურებმა იჩხუბეს

**უკრაინის მართმადიდებლური ეკლესიის მღვდლებმა ტერნოპოლის ღამის კლუბში კარგა გვარიანად იჩხუბეს...**

ადგილობრივი მასმედია აქვეყნებს კადრებს, რომელიც კლუბის სათვალთვალო ვიდეო კამერითაა გადაღებული.

ღვთისმსახურების ჯგუფი, როგორც ჩანს, კლუბში გოგონების თანხლებით მივიდნენ. შემდეგ „გაურკვეველი" კონფლიქტი წარმოიშვა. საგულისხმოა, რომ ჩხუბის მოთავეები მღვდლები ყოფილან. აშკარაა, რომ მღვდლების გოგონებს შეზარხოშებული ბიჭები წაეპოტინენ...

უკრაინელი კანონმდებლები მომხდარ ფაქტს ადასტურებენ.

### შვედეთის გიმნაზიაში ტრანსგენდერებს საკუთარი გასახდელი ექნებათ



**შვედეთის ქალაქ ესკილსტუნის გიმნაზიის ადმინისტრაციამ განაცხადა, რომ სკოლაში ტრასგენდერებს, და იმ მოსწავლეებს, რომლებიც ჯერ ვერ ჩამოყალიბდნენ საკუთარ ორიენტაციაში საკუთარი გასახდელი ექნებათ.**

როგორც გაირკვა, სკოლის მოსწავლეს, რომელიც დაბადებულია ბიჭად, მაგრამ თავს თვლის გოგოდ, ფიზიკური აღზრდის გაკვეთილების ხშირი გაცდენა უწევდა. იგი არ შედიოდა ბიჭების გასახდელში, ხოლო მასწავლებელი, გოგონების გასახდელში არ უშვებდა.

მან სტუდენტურ საბჭოს მიმართა თხოვნით სკოლაში მესამე გასახდელის მოწყობის თაობაზე. საბჭომ და ადმინისტრაციამ მისი აზრი გაითვალისწინა.

ამ გასახდელის გამოყენება ტრანსგენდერებთან ერთად, არატრადიციული ორიენტაციის მოზარდებსაც შეეძლებათ.

### წიწაკის მოყვარულთა კონკურსი

**აშშ-ში მწარე საჭმლის მირთმევის კონკურსი ჩატარდა, სადაც ერთ-ერთ მონაწილეს „მწარედ" არ გაუმართლა. შეჯიბრების დროს იგი ცუდად გახდა და საავადმყოფოში გადაიყვანეს. როგორც აღმოჩნდა, საყლაპავი მილი 3-სანტიმეტრზე იყო გახვრეტილი. დამწვრობა, სწორედ, რომ მწარე საჭმელმა გამოიწვია.**

იმ მომენტში, როცა მონაწილე ცუდად გახდა, ის ჩილით დამზადებულ ბურგერს მიირთმევდა, ჩილი დღეს ყველაზე მწარე წიწაკაა მსოფლიოში.

წიწაკის მოყვარულს სასწრაფო ოპერაცია და ერთი თვით საავადმყოფოში დარჩენა მოუწია....




მოამზადა
**რუსუდან ქოზულიამ**

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
სულხან-საბას ქ. №3

მთავარი რედაქტორი
სპარტაკ ქოზულია
293-13-34
599 36-00-35

პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი
599 53-76-16;
ალეკო ასლანიშვილი
599 56-81-86;
რუსლან რუსია
599 17-21-21;

პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე
514 33-33-24

გამომცემლები:
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის" გამომცემელი"
ტ: 599 79-76-79
შპს „ახალი საუკუნე"

იბეჭდება გამომცემლობა „კოლორში"
რკინიგზის ჩიხი №20

uac(უაკ)070.4(479.22)
ს—323
ISSN 2233-3851
9 772233 385001

ავტორთა საყურადღებოდ!
რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას. ფაქტების სიზუსტეზე პასუხს აგებენ ავტორები.

„საქართველოს რესპუბლიკა" შენი გაზეთია, აუცილებლად წაიკითხე!

უცხოური ვალუტის კურსი:
აშშ დოლარი - 2.3683; ევრო - 2.6084;
ბრიტანული გირვანქა სტერლინგი - 2.9114;
100 რუბლი - 3.7690; თურქული ლირა - 0.7645;
აზერბაიჯანული მანათი - 1.4797;
1000 სომხური დრამი - 4.9780.

ამინდი 20 ოქტომბრისთვის

| | | |
|---|---|---|
| აღმოსავლეთი საქართველო: | | |
| ბარი - | ღამე +1, | დღე +15 |
| მთიანი რაიონები - | ღამე -2, | დღე +14 |
| დასავლეთი საქართველო: | | |
| ბარი - | ღამე +8, | დღე +20 |
| მთიანი რაიონები - | ღამე +1, | დღე +17 |
| თბილისი: | ღამე +6, | დღე +13 |

დაგვირეკეთ, მოგვწერეთ:
ტელ: 293-13-34, 599-79-76-79
WWW.SAKRESP.GE